საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 59
(11 720)

5 - 7 აგვისტო, 2003 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნომერში წაიკითხავთ:

- რასიზმის წინააღმდეგ ჩვენც ვიბრძოლებთ
- მწვრთნელებს გუნდის სარკეში ფსიქოლოგი უყურებ ჩასახედებს
- დაე, უეხვურთელი უეხვურთელობდეს
- თელავში უეხვურთის ბუმი ყოფილა
- აშვეთიას აიშვა
- მილერი ცქიტიშვილის თანაგუნდელია
- საქადრაკო ამოცანა. კროსვორდი

ოლრო ელდარ მელხაზიშვილი

მერვე უეხვიკელს კი იგალია უმასპინძლებს

პარიზში გამართულ 2003 წლის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური რაგბი მეშვიდე ღილები (ფესტივალი) უკვე ისტორიის კუთვნილებაა.

1987-1988 წლებში დამაღებულმა 48 ქვეყნის ორი ათასზე მეტმა სპორტსმენმა საფრანგეთში სპორტის 10 სახეობაში ისასარეზა. საქართველოს 15 ათლეტიდან შვიდმა მედალი მოიპოვა, ძიუდოში (6) და მძლეოსნობაში (1) ოქროს მედალი წილად ხვდათ მძლეოსან მამუკა ტუღუშს (ბირთვი) და ძიუდოისტს ლაშა ტელიანს (50 კგ); დანარჩენი მედლებიც ძიუდოისტთა წილად მოდის. მეორე პრიზიორები გახდნენ ბეკარ ბეკაური (73), მალხაზ ნიკარაძე (90), ლევან გორგაძე (+90); მესამე ადგილი ხვდათ სახა გავაშელიშვილს (81) და გიორგი შოშიაშვილს (60). ამ სახეობების გარდა, როგორც ცნობილია, ჩვენები სპორტულ ტანვარჯიშში და ვეღოსპორტშიც ასპარეზობდნენ.

ოქროს მედალოსნები - მამუკა ტუღუში (ბარცხნივ) და ლაშა ტელიანი (ფოტო რობერტ ბაგოიანისა)

იხ. №0-2 გვ.

ათენი – 2004
დიდი ამოცანის გადასაწყვეტად ცოტა შემწეობა არ ქმარა

ფინანსური პრობლემებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ 2004 წლის ოლიმპიური თამაშები კარს მოგვადგა, ყველა შესაძლო მატერიალური შემწეობა თუ მწირი სპბუჯეტი სახსრები მხოლოდ ოლიმპიადისთვის მზადებას ხმარდება და ამაში არაფერი გასაკვირი.

სპორტის ტანვარჯიშული სახეობებიდან ათენში თამაშებზე მოხვედრის ყველაზე მეტი შანსი რჩებათ ბატტუტი მტკომელებს და ამიტომაც ფედერაციის ყურადღება მათზეა გადატანილი.

რუსუდან ხოფერია

ლელა ბოდოფენა

წლეულს, გაზაფხულზე, ოლიმპიური ფინდა ბატუტისტების ერთი შეკრება დაფინანსა მოსკოვში, რაც ბუნდს დიდად წაადგა, თუმცა უსახსრობის გამო საერთაშორისო სარბიელზე არ მიეცათ თავიანთი ოსტატობის გამოვლენის შესაძლებლობა. ეს მით უფრო დასანანია, რომ მოსკოვად მსოფლიოს ჩემპიონმაში, სადაც ოლიმპიადის ლიცენზიები გათამაშდება. დაგეგმილია, მაგრამ ერთეულად მაინც გამოსავალი, ისევ ოლიმპიური ფონდის ხელშეწყობით გამოინახა, რომელმაც თბილისის მერიის სპორტსკოლასთან (დირექტორი როზა ბერიკაშვილი) ერთად, დაფინანსა ნაკრების გამოსვლა ევნეულ კრებაზე გამართულ საერთაშორისო ტრადიციულ ტურნირზე. აქ „ოქროსფერი თასი" გათამაშდა 5 ქვეყნის წარმომადგენლებმა (სბერძნეთი, საქართველო, იტალია, ესპანეთი, ბელგია).

უფროს ასაკში კარგად ისასარეზა ჩვენმა ვეტერანმა რუსუდან ხოფერიამ, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ წლეულს პირველად გავიდა საერთაშორისო სარბიელზე, თანაბარი ქულები დააგროვა მსპინძელთან, საბერძნეთის ნაკრების წევრ ელას კალაპალითან ერთად, მაგრამ საბოლოოდ დაჯერდა მხოლოდ მეორე ადგილს, ვინაიდან ბერძენს წონასწორ ასპარეზობაში ნაჩვენები ჰქონდა უკეთესი შედეგი. სოფიო გულიაშვილი კი მიუხედავად იმისა, რომ ფინალში შეეიდა ყველაზე უკეთესი შედეგით, საბოლოოდ დაამყოფოდა მხოლოდ მესამე ადგილით.

საერთაშორისო არენაზე პირველად ცდილა ძალას ეკოთა შორის ჩვენი ნაკრების წევრი ოლეგ კელესოკი, ამიტომ არც იყო მოსალოდნელი და ვერც მოხვდა იგი პრიზიორთა შორის.

ახალგაზრდებიდან ტურნირი მოიგო თენგიზ კოშკაძემ, თანაგუნდელი გიორგი ფუტკარაძე კი მეორე იყო. მეოთხე ადგილი ხვდა წილად ყველაზე უმცროს მონაწილეს, 11 წლის გიორგი მაკალათიას. გიგანტებიდან ტურნირის საპატიო კვარცხლბეკვის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ლება გოლეთია.

საელიეზნო ასპარეზობა, მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება ჰანოვერში, ოქტომბერში. მანამდე კი მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპებია ბელგიაში (ამ თვის ბოლოს) და ჩეხეთში (სეპტემბრის დასაწყისში). თუ ჩვენებს ამ შეჯიბრებებში გამოსვლის შესაძლებლობა მიეცემათ, რეალურად შეიძლება ფიქრი ათენისათვის ლიცენზიის მოპოვებაზე.

ნ. ბაძრაძე

საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში
17 ნორჩი ფალავნიდან 11 შინ მედლით დაბრუნდა

ბუენოს აირესიდან დაბრუნდა თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს უმცროსი ასაკის (1988-89 წწ) ჭაბუკთა ნაკრება გუნდი, რომელიც ქ. სანანდაჯში გამართულ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა. 7 ქვეყნის 280 წარმომადგენელთა შორის ქართველი ჭაბუკები მართლაც რომ შეუდარებელნი იყვნენ. თავად განსაჯეთ, 16 წონით კატეგორიაში 16 ქართველი ყმაწვილიდან ტურნირის საპატიო კვარცხლბეკზე ავიდა 11. გამარჯვებულთა შორის არიან საგარეჯოელები ვასილ მამუდაშვილი (32 კგ) და თორნიკე როსტაბაშვილი (42), ბათუმელი ჯონი ჯინჭარაძე (66) და თბილისელი თორნიკე სვანიძე (73); მეორე პრიზიორები გახდნენ საგარეჯოელი დავით ხუციშვილი (35), ლეჩხუმელი ზვიად ბურჯანელიანი (53), აჭარიდან თენგიზ ნაკაშიძე (59) და აფხაზეთიდან ლევან ხარბედია (85); ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ თბილისელ ბექა ბექაურს (47), აჭარიდან გიორგი ბალანძეს (66) და დავით ქონდალაძეს (73). გუნდის უფროსი მწვრთნელია გია კოტაშვილი, მწვრთნელი რამაზ ასაბაშვილი.

რასიზმს ყველგან ებრძვიან, საქართველოშიც...



მსოფლიოში, ალბათ, იშვიათად თუ მოიძებნება ქვეყანა ტოლერანტობით საქართველოს რომ შეედრებოდეს. ასეა ისტორიულად და, სავრთოდ, რაც უფრო შორიდან მოდის ერი, მით უფრო ღრმადაა ფესვებგადგმული ჰუმანური იდეალები. ახალშობილებმელი ერებისგან განსხვავებით, ისტორიულად თვითმყოფადი ხალხისთვის უღირს ეროვნული შეღება, აღამიანების ჩაგვრა თუნდაც სარწმუნოების გამო. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ კანის ფერიც კი იქცა ერების დისკრიმინაციის საბაბად. რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, ეს ფაკასკენელი ე.წ. რასიზმი, ცივილიზაციამ მოიტანა.

რატომ? შეეხები ამ თემას სპორტულ გარემოცვაში და რა საერთო უნდა ჰქონდეს სპორტს რასიზმთან? აქეს და ეს სულაც არ არის ახალი ამბავი. ჩვენ, რაც წარმოუდგენლად მიგვანნია, ჩვენი ტოლერანტობიდან და ჰუმანური ბუნებიდან გამომდინარე, ის ბევრ ქვეყანაში ადამიანთა დაპირისპირებად იქცა და პრობლემამ მსოფლიო ყალიბრადობა შეიძინა. სწორედ ამიტომ, სპორტი, როგორც „მშვიდობის ელჩი" ჩაება რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და რაკი ჩვენ მსოფლიო სპორტის სამყაროს შემადგენელი ნაწილი ვართ, საქართველოც ერთვება ამ საყოველთაო მოძრაობაში.

ფეხბურთში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი და პოპულარული სახეობაა, ტელევიზიტორიის გათვალსწინებით კი უბადლოა და სწორედ ამიტომ უეფამ მიუწოდა ეროვნულ ფედერაციებს გააკეტილონ საქმიანობა რასიზმის წინააღმდეგ. ამ 9 თვის წინათ, მარშაში, 8 ნოემბერს, კოპენჰაგენში ეს საკითხი უეფას ეგზიფიან საგანგებო სხდომამ განიხილა, რომელზედაც შემიდშავეს ანტირასისტული პროგრამა. ამ პროგრამის განსახორციელებლად ყოველწლიურად უეფა 2,6 მილიონ ფრანკს გამოყოფს, რომელიც განაწილდება ეროვნულ ფედერაციებზე, გაზაფხულზე. ოლიმპიურმა ფონდმა ბატუტისტების ერთი შეკრება დააფინანსა ოსლოში, რაც ბუნდს დიდად წაადგა, თუმცა უსახსრობის გამო საერთაშორისო სარბიელზე არ მიეცათ თავიანთი ოსტატობის გამოვლენის შესაძლებლობა. ეს მით უფრო დასანანია, რომ მოსალოდნელი მსოფლიოს ჩემპიონატი, სადაც ოლიმპიადის ლიცენზიები გათამაშდება. დაგეგმილია, მაგრამ ერთეულად მაინც გამოსავალი, ისევ ოლიმპიური ფონდის ხელშეწყობით გამოინახა, რომელმაც თბილისის მერიის სპორტსკოლასთან (დირექტორი როზა ბერიკაშვილი) ერთად, დაფინანსა ნაკრების გამოსვლა ევნეულ კრებაზე გამართულ საერთაშორისო ტრადიციულ ტურნირზე. აქ „ოქროსფერი თასი" გათამაშდა 5 ქვეყნის წარმომადგენლებმა (სბერძნეთი, საქართველო, იტალია, ესპანეთი, ბელგია).

გაზეთის დაბეჭდვამდე:
სგუმრები იაპონიიდან

როგორც საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომბარ შოშიტაშვილმა გუშინ გვაცნობა, თბილისში სტუმრად ჩამოვიდა თავისუფალ და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის იაპონიის ახალგაზრდული ნაკრება. ნაკრებს და მწვრთნელებს, რომლებიც თბილისში დარჩებიან 15 აგვისტომდე, საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია უმასპინძლებს. ოგეგმება ერთობლივი საწვრთნო ვარჯიშები და სპეციალისტთა შორის ურთიერთ გამოცდილების გაზიარება.

„ლელო" – საგანგებო „ბუმთან".

ბრიეფი
რამაზი და კობა კვლავ იგებენ

წარმატებით აგრძელებენ გამოსვლას პროფესიული რინგზე ქართველი მოკრივეები ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მიჩიგანის შტატში გამართულ ორთაბრძოლებში რამაზ ფალიანმა 40 წამში ნოკაუტით სძლია ამერიკელ მაიკ ჰამონს (ასეთი, რამ კრივში რეკორდულ შედეგად ითვლება). კობა გოგოლაძემ ასევე ნოკაუტით მოუგო 4 რაუნდში მეჭიკელ მოკრივეს ეიგელ ტორესისგან. მოშველენო ბრძოლას გოგოლაძე ამერიკის ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად ჩაატარებს.

9 აგვისტოს, ვაშინგტონში რამაზის უმცროსი ძმა შალვა ფალიანი ისასარეზებს.

დავით ძაბოარაძე,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი კრივში.

ბ. ფალიანი

ბ. ფალიანი

ATHENS 2004

ათენში 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებამდე 1 წელიწადი დარჩა

torino 2006

ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 2 წელიწადი და 7 თვე გვაშორებს

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!

უკეთ, ვიდრე სიდნეიში!

მერვე ფესტივალს კი იტალია უმასპინძლებს

პირველი გვერდიდან

თის, უკრაინის და ლიტვის ნაკრებმა გუნდებმა.

გუშინ, საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში ფესტივალის პრიზიორებთან და მათ მწვრთნელებთან შეხვედრისას წარმატებულ გამოსვლად შეფასდა ჩვენი ახალგაზრდა სპორტსმენების მიერ ნაჩვენები შედეგები მეშვიდე ფესტივალზე. განსაკუთრებით შეაქს ფესტივალის ლაურიატები, ქართველი ძიუდოისტები, რომლებმაც გუნდურ პირველობაში პირველი ადგილი მოიპოვეს (გუნდის მწვრთნელი ჯემალ ნათელაშვილი). პირად პირველობაში კი ჩვენმა ბიჭებმა ერთი პირველი, სამი მეორე და ორი მესამე ადგილი მოიპოვეს. მადლობა გადაუხადეს ახალგაზრდა მძლეოსნთა მწვრთნელს ყარამან საბანაშვილს ფესტივალის გამარჯვებულის მამუკა ტულუშის აღზრდისათვის.

ჩვენი სპორსტმენები, როგორც ვთქვით, ძიუდოსა და მძლეოსნობის გარდა, სპორტულ ტანვარჯიშში და ველოსპორტშიც გამოდიოდნენ, მაგრამ ამ სახეობებში მცდელობის მიუხედავად, თავი ვერაფრით გამოიჩინეს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენს ბიჭებს როგორი ველოსიპედებით უხდებათ ვარჯიში და რბოლა და რა ტიპის ველოსიპედები აქვთ ევროპელ მეტოქეებს, წარმატებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

თამაშების ყველა ჩემპიონ-პრიზიორი და მათი მწვრთნელი სიმბოლური თანხით დაჯილდოვდა.

კიდევ ერთხელ ითქვა ოლიმპიური ფონდის პრეზიდენტის ბადრი პატარკაციშვილის ღვაწლზე, რომელმაც ფინანსურად უზრუნველყო ჩვენი დელეგაციის გამგზავრება საფრანგეთში.

პარიზის ფესტივალის მონაწილეები, ჩემპიონები, პრიზიორები ის სპორტსმენებია პეკინში 2008 წლის ოლიმპიადაზე რომ უნდა გვასახელონ.

ჯანო ბაგრატიონი და ემზარ ზენაიშვილი პრესკონფერენციაზე (ფოტო რ. ბაგოიანისა)

საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტში პარიზის ფესტივალის მონაწილეების გარდა საჩუქარი გადასცეს 18 წლის მშვილდოსან გოგონას ქრისტინა ესებუას, რომელმაც ახლახან ნიუ-იორკში მშვილდოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლით 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებში ასპარეზობის უფლება, ანუ ლიცენზია მოიპოვა. მასთან ერთად იმყოფებოდა ერთადერთი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი მშვილდოსნობაში, ფედერაციის პრეზიდენტი ქალბატონი ქეთევან ლოსაბერიძე.

სხვათა შორის, ხობელი ქრისტინა ესებუას მშობლები ცნობილი მოვლენების შემდეგ 10 წელიწადია დასავლეთ უკრაინაში ქალაქ ლვოვში ცხოვრობენ. ქრისტინას თბილისში გადმოყვანა კი გოდერძი ბუკიას ძალისხმევით მოხერხდა.

რაც შეეხება მერვე ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს, ის 2005 წელს იტალიის საკურორტო ქალაქ ლინიანოში გაიმართება.

ბესიკ ბაბოძე

რასიზმს ყველგან ებრძვიან, საქართველოშიც...

პირველი გვერდიდან

ციებზე. ნავარაუდევია, რომ საქართველო ყოველწლიურად მიიღებს 50 ათას ფრანკს..



გიგი ჯიშიაშვილი

სფფ-მ საქართველოში რასიზმთან ბრძოლის კოორდინატორად დანიშნა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის თანაშემწე გივი ჯიშიაშვილი, უმწიკვლო, ღირსებებით შემკული პიროვნება, რომელსაც ადამიანებზე ზრუნვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის უმდიდრესი გამოცდილება გააჩნია.

არის თუ არა რასიზმის გამოვლენის საშიშროება საქართველოში? არა გვგონია, თუნდაც ეს სავარაუდო იყოს, საერთო ფერხულში ჩაბმა კი ნამდვილად არაფერს გვავნებს. ნუ იფიქრებთ, რომ რასიზმი მხოლოდ ფერადკანიანთა დამცირებაში ვლინდება. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ირლანდიაში საქართველოს ნაკრების მატჩისას შოთა არველაძის მისამართით გამოვლენილ ერთ შეურაცხმყოფელ მაგალითს. ირლანდიელი გულშემატკივრები დამამცირებელი შეძახილებით დასცინოდნენ შოთა არველაძეს მხოლოდ იმის გამო, რომ მისი გუნდი „რეინჯერსი" პროტესტანტულია, ირლანდიელები კი კათოლიკეები არიან. ანდა, გაიხსენეთ რა ძვირად დაუჯდა სერბ მცველს მიხაილოვიჩს „არსენალის" თავდამსხმელის ტიერი ანრის შეურაცხყოფა.

შემთხვევითობისგან დაზღვეული არავინაა, არაა გამორიცხული, რომ ვინმემ პროვოკაციულადაც მიმართოს ამა თუ იმ ფეხბურთელს თუნდაც ტრიბუნიდან, რაც უკვე სანქციებს გამოიწვევს. ჩვენში ანტირასისტული პროგრამა ამუშავდება დევიზით: „რასიზმს — არა საქართველოს ფეხბურთის მოედნებზე".

საკითხში უფრო მეტის სიცხადის შეტანისთვის გთავაზობთ უეფას ღონისძიებათა გეგმას. ამ გეგმიდან გამომდინარე სფფ-მ შეიმუშავა სპეციალური მემორანდუმი, რომელსაც ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ყველა გუნდი შეუერთდება და პროგრამის რეალიზება, როგორც სფფ მიიჩნევს, შესაძლებელი იქნება მიმდინარე წლის 16 აგვისტოდან.

უეფას ღონისძიებათა გეგმა კი ასეთია:

1. განცხადება, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული რასიზმთან კლუბის შეურიგებელი დამოკიდებულება. რასისტული ლოზუნგების სკანდირების შემთხვევაში სანქციათა ჩამონათვალი. განცხადებიდან ამონაწერის შეტანა მატჩების პროგრამებში და განთავსება სტადიონებზე გამოტანილ ტრანსპარანტებზე.

2. სტადიონზე რასისტული ლოზუნგების სკანდირების აკრძალვის შესახებ გამაფრთხილებელი განცხადებების გამოცხადება რადიოთი.

3. სეზონური აბონემენტების მიყიდვა მხოლოდ იმ პირებზე, რომლებმაც ვალდებულება აიღეს, რომ არ დაუშვებენ რასიზმს.

4. სტადიონებზე და მათს შემოგარენში რასისტული ხასიათის ლიტერატურის გავრცელების აღმკვეთი ღონისძიებების გატარება.

5. სადისციპლინო სანქციების გავრცელება რასისტულ გამოხტომებში შემჩნეულ ფეხბურთელებზე.

6. რასიზმის გამოვლენასთან ბრძოლის მოქმედი წესების გავრცელება კლუბებზე.

7. რასიზმის გამოვლენასთან ბრძოლის ერთიანი მიდგომის, ურთიერთქმედების სქემების შემუშავება სტადიონების, დაცვისა და სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა მიერ.

8. სტადიონის ტერიტორიიდან რასისტული ხასიათის ნებისმიერი წარწერის ოპერატიული აღკვეთა.

9. დაქირავებისა და მომსახურების სფეროში თანაბარი შესაძლებლობების პრინციპების დანერგვა.

10. შეთანხმებული მოქმედება და თანამშრომლობა სხვა ორგანიზაციებთან, მათ შორის ფეხბურთელთა, გულშემატკივართა ასოციაციებთან, სასწავლო დაწესებულებებთან, მოხალისეთა გაერთიანებებთან, ახალგაზრდულ კლუბებთან, სპორტსმენებთან, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან, რასიზმისა და დისკრედიტაციის წინააღმდეგ კონსტრუქციული ბრძოლის ერთობლივი მოქმედების პროგრამის შემუშავებისა და ამ ბრძოლის პროპაგანდის მიზნით.

მაშ ასე, ჩვენ ვიწყებთ. „ლელო" განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს უეფას ზემოხსენებული პროგრამის საქართველოში პრაქტიკულ განხორციელებას.

მიმომხილველი

ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა

ტრიბუნაზეა ფსიქოლოგი

გუნდის სიძლიერე მხოლოდ სპორტსმენთა სიძლიერეზე არაა დამოკიდებული

სპორტულ შეჯიბრებაში სპორტსმენის მიზანი წარმატებაა. წარმატებაში ჩვენ არ ვგულისხმობთ მხოლოდ საპრიზო ადგილების დაკავებას (I-II-III და ა.შ. ადგილები). სპორტსმენის წარმატებაა თუ იგი შეჯიბრებაში იმეორებს წარსულში ნაჩვენებ უმაღლეს შედეგს, ან აღწევს იმას, რაც სხვა დროსა და ვითარებაში არ გამოუვლენია. სპორტში წარმატებას ბევრად განაპირობებს ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, რომელთა ცოდნაზეცაა დამოკიდებული მწვრთნელის წარმატებები.

აღნიშნული ფაქტორებიდან შევეხები ერთს, რომლის შესახებ პუბლიკაციები ქართულ პრესაში პირადად არ მაგონდება. ესაა სპორტული გუნდის, როგორც კოლექტივის ფაქტორი სპორტულ წარმატებებში. კოლექტივის სიძლიერეს არ განაპირობებენ მხოლოდ ძლიერი სპორტსმენები, სპორტში არის შემთხვევები, როდესაც სუპერვარსკვლავებით დაკომპლექტებული გუნდი დაუმარცხებია გუნდს, რომელშიც არც ერთი სუპერვარსკვლავი არ ყოფილა. მიზეზი? მიზეზი გახლდათ ის, რომ გამარჯვებული გუნდი წარმოადგენდა კოლექტივს, დამარცხებული გუნდი კი — არა. მრავალი წელია ვმოღვაწეობ სპორტში, მაგრამ არ მახსოვს შემთხვევა, ზარ-ზეიმით გაეცილებინოთ გუნდიდან მწვრთნელი, როგორც წესი, მათ ლანძღვა-გინებით „აგდებდნენ", განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც გუნდს, როგორც კოლექტივს ეპარებოდა ბზარი, ირღვეოდა გუნდის მონოლითურობა, ჩნდებოდნენ ერთმანეთის დაპირისპირებული, კონფლიქტური ჯგუფები და სხვა. თვით განუმეორებელი ნოდარ ახალკაციც რა დაინდეს — სრულიად დაუმსახურებლად შეთითხნილი ბრალდებებით გაუშვეს გუნდიდან (განთავისუფლების მიზეზების დეტალური განხილვა საუბრის სხვა თემაა). თბილისის „დინამო" უძლიერესი იყო მანამ, სანამ იგი წარმოადგენდა ერთი მიზნით, ერთ მუშტად მტკიცედ შეკრულ კოლექტივს. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაზე თბილისის დინამოელთა გამარჯვებამ გუნდში ღრმა ფსიქოლოგიური ძვრები მოახდინა, მათ გაუფერმკრთალდათ (თუ დაკარგეს) სპორტული მოღვაწეობის მოტივი, დაკარგეს პერსპექტივა (მეტი რაღა წარმატებისთვის უნდა მიეღწიათ). დინამოელები სამშობლოში დაბრუნდნენ როგორც გმირები, ისინი სარგებლობდნენ ფართო საზოგადოებრიობის ყურადღებით და სიყვარულით, სასურველი სტუმრები იყვნენ ყველასთვის. აღნიშნული ვითარების გამო, ზოგმა დინამოელმა თავისთავს უფლება მისცა წვრთნაზე გამოცხადებულიყო ნასვამი, მოეწია სიგარეტი. ერთი სიტყვით, დაერღვია სხვადასხვა რეჟიმი (წვრთნის, დასვენების, კვებისა და ა.შ.). მწვრთნელის სამართლიანმა, კრიტიკულმა შენიშვნებმა და შეგონებამ შედეგი არ გამოიღო. მწვრთნელსა და ზოგიერთ მოთამაშეს შორის გაჩნდა დაპირისპირება, რაც კონფლიქტშიც გადაიზარდა. მწვრთნელი იძულებული გახდა გუნდიდან გაეშვა ზოგიერთი ცნობილი ფეხბურთელი, ერთი სიტყვით, დაირღვა გუნდში მონოლითურობა, ურთიერთგაგება, აღნიშნული უმნიშვნელოვანესი ფაქტორის მოშლამ განაპირობა წარუმატებლობები, რასაც ზვარაკად შეეწირა ნოდარ ახალკაცი, ნაცვლად იმისა, რომ ობიექტურად, პროფესიულ დონეზე გვკლიათ და გაეანალიზებინათ შექმნილი ვითარების მიზეზები და მიეღოთ ადეკვატური ზომები.

გუნდში დანიშნული მწვრთნელის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა შექმნას ერთ მუშტად, მტკიცედ შეკრული მეგობრული კოლექტივი, რომელშიც მართლა იმოქმედებს პრინციპი — „ერთი ყველასათვის, და ყველა - ერთისათვის", ასეთი კოლექტივი გონიერი მწვრთნელის ხელში იმ დამატებით მძლავრ ბერკეტად იქცევა, რასაც ბევრჯერ წარმატების სიხარული მოუტანია არა მხოლოდ სპორტსმენისთვის და მწვრთნელისთვის... სპორტული კოლექტივის ჩამოყალიბება არაა იოლი საქმე, იგი მოითხოვს ნებისმიერი პედაგოგისათვის (მწვრთნელი ხომ პედაგოგია) სათანადო ფსიქოლოგიურ განათლებას, ჩვენს კონტექსტში კი აუცილებელია სპორტული გუნდის, როგორც კოლექტივის სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების ცოდნა, სახელდობრ: როგორია საქმიანი თუ ინტიმური ურთიერთობების თანაფარდობა — ჭარბობს რომელიმე მათგანი თუ თანაბრადაა მოცემული, არც ისაა გამორიცხული, კოლექტივში არსებობდეს მხოლოდ საქმიანი ურთიერთობები და არ არსებობდეს ინტიმური ურთიერთობები; არსებობს თუ არა მიკრო-სოციალური ჯგუფები, როგორ დონეზეა კოლექტივში დიფერენციაცია და ინტეგრაცია, რა პრობლემებია გუნდში ლიდერობისა და შეთავსებადობის მიხედვით და ა.შ.

სპორტის ფსიქოლოგიის ქართველ სპეციალისტებს სპორტულ კოლექტივში არსებული ვითარების, პრაქტიკული შესწავლის, საკმაო გამოცდილება დაუგროვდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ გამოცდილებისადმი ინტერესს დღევანდელ ქართულ სპორტში ალარავინ იჩენს. მიზეზი ყბადაღებული უსახსრობა კი არა, დაბალი პროფესიონალიზმია. მე პირადად შევთავაზე ჩემი უანგარო სამსახური, როგორც სპორტის ფსიქოლოგიის სპეციალისტმა ჩემს ნასტუდენტარებს, ამჟამად საქართველოს ნაკრების მწვრთნელებს, — მაგრამ დღემდე არანაირი რეაგირება არ ჩანს. არადა, დიდია სპორტში სპორტსმენთა პოტენციალი, რომელთა წარმატებით გამოვლენა მხოლოდ მაღალ პროფესიონალს შეუძლია.

საბჭოთა პერიოდში შეიქმნა კომპლექსური სამეცნიერო ჯგუფები, რომლებსაც ევალებოდათ ნაკრები გუნდებისა და მოწინავე სპორტული კოლექტივების მეცნიერული მომსახურება.

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის ხელმძღვანელობამ (გ. ჩოხელი) ითხოვა გამოგვეკვლია და დაგვედგინა გუნდში კონფლიქტების შესაძლო აღმოცენების მიზეზები და დავხმარებოდით ვითარების დარეგულირებაში.

ჩემს კოლეგებთან ერთად სოციალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტში შევისწავლეთ გუნდში არსებული ვითარება. კვლევამ გამოავლინა ორი, ურთიერთდაპირისპირებული უმცირესობისა და უმრავლესობის ჯგუფები გამოკვეთილი ლიდერებით, რომელთა შორის არსებობდა საკმაოდ მწვავე კონფლიქტი, ცხადია, დადგინდა კონფლიქტის მიზეზებიც. ასევე გამოვლინდა მიკროსოციალური ჯგუფები (ე.წ. „კუტოკები") მათი დიფერენციაციისა და ინტეგრაციის შესაძლებლობები. გუნდში გამოვლინდნენ ფეხბურთელები, რომლებიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ თანაგუნდელებში, თუმცა აღმოჩნდნენ ფეხბურთელები, რომლებიც გარიყულებს განეკუთვნებოდნენ.

კვლევის შედეგად მიღებული მასალის საფუძველზე, წერილობით შეიქმნა გუნდის არასრული ფსიქოლოგიური პორტრეტი, რომელიც გადაეცა ხელმძღვანელობას სახელმძღვანელოდ.

გივი დვალი

თქვენთვის, ჭადრაკის ერუდიტებო!

1. რომელ წელს მოიპოვა ნონა გაფრინდაშვილმა პირველად მსოფლიო ჩემპიონობა?

ა — 1961
ბ — 1962
გ — 1963

2. დიდოსტატის წოდების შემოღებამდე რას უწოდებდნენ მაღალი დონის მოჭადრაკეებს?

ა — გროსმაისტერს
ბ — მაესტროს
გ — ოსტატს

3. დაასახელეთ დვაწლმოსილი ქართველი მოჭადრაკე და პედაგოგი

ა — ქარსელაძე
ბ — თავარიანი
გ — ნეიძე

4. ვინ იყო პირველი დიდოსტატი და მსოფლიო ჩემპიონი ვაჟთა შორის საბჭოთა კავშირიდან?

ა — სმისლოვი
ბ — გელერი
გ — ბოტვინიკი

5. რომელ წელს ჩამოვიდა პირველად მიხეილ ტალი თბილისში, სსრ კავშირის ჩემპიონატის ნახევარფინალში მონაწილეობისათვის?

ა — 1956 წელს
ბ — 1955 წელს
გ — 1957 წელს.

წინა ნომერში გამოქვეყნებული შეკითხვების პასუხები: 1 — ბ, 2 — გ, 3 — ბ, 4 — გ, 5 — ბ.

კიკბოქსინგი

ჩაუქეჩი უჩაქეში შეიქრიხნენ...

დაბა ურეკმა მერვედ უმასპინძლა კიკბოქსინგში ევრაზიის ლიგის საქართველოს ფილიალის (პრეზიდენტი სოსო დოლიძე) ღია პირველობას, რომელშიც მონაწილეობდა აზერბაიჯანის (2), ირანის, რუსეთის (ჩრდ. ოსეთი), უნგრეთის, სომხეთის, აჭარის, თბილისის (2) იმერეთის, ქვემო ქართლის, სამეგრელო-სვანეთის და გურიის რეგიონის გუნდები და 180-მდე სპორტსმენი. ასპარეზობა ჩატარდა ბუნების წიაღში გამართულ რინგზე. ბოლო დღეს თავსხმა წვიმამ ლამის ჩაშალა ფინალური ბრძოლები, მაგრამ მოხერხდა არენის სახელდახელოდ გადახურვა, ხოლო ათასამდე ქოლგოსან მაყურებელს ბოლომდე არ მიუტოვებია სპორტულ-ეგზოტიკური სანახაობა.

უმცროს ასაკში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: შუქრი ირემაძემ (ჩოხატაური), ცოტნე წურწუმიამ (ზუგდიდი), ზურაბ გოგიაშვილმა (თერჯოლა), აპეტ მანდასარიანმა (სომხეთი), ომარ ირემაძემ (ჩოხატაური), ენურ ამირხანოვმა (ბაქო), თემურ ბასილაძემ (თერჯოლა). სხვა გამარჯვებულები. იუნიორები: რასულ ნასუმოვი (ბაქო), ლაშა ელიავა (თერჯოლა), დიმა აბულაძე (ოზურგეთი), ანარ სადარზადე (ირანი), მამედ შუქუროვი (ბაქო), რომან ტუფურია (ზუგდიდი), რევაზ ქერდიშვილი (თბილისი), ალიკ პლიევი (ჩრდ. ოსეთი); **უფროსი ასაკი:** 51 კგ — რამაზ ღლონტი (ოზურგეთი), 54 კგ — ნიკა სარიშვილი (ურეკი), 57 კგ — ალან ყულიევი (აზერბაიჯანი), 60 კგ — დავით სარიშვილი (ურეკი), 63 კგ — ზურაბ ჩახმახიშვილი (თბილისი), 67 კგ — ელი კასიმლი (ირანი), 71 კგ — გოგ საიში (უნგრეთი), 75 კგ — ტაფირ მამედოვი (ბაქო), 81 კგ — ალეკო ჭელიძე (ლენტეხი), 86 კგ — რისალ კარაში (ირანი), მძიმე — ჯემალ მარგველაშვილი (თბილისი). **გოგონები:** 55 კგ — ფატიმა ხასანოვა (ბაქო), 60 კგ — ნათია ზურებიანი (ოზურგეთი).

ტურნირის ხელმძღვანელობა მადლობას უხდის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს და სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა ეროვნულ კომიტეტს შეჯიბრების მომზადებასა და ჩატარებაში აქტიური თანადგომისათვის.

27-29 აგვისტოს დაბა ურეკი კვლავ უმასპინძლებს პრესტიჟულ ასპარეზობას — ამჯერად ევრაზიის ლიგის თასის გათამაშებას.

ნანა დოლიძე,

ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.

დინამო (თბილისი) – ტორპედო (ქუთაისი) 3-0

დინამო: ზოიძე, კარლოსი (სამხარაძე 81), კანდელაკი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კვირკველია, გოგობერიშვილი, დარასელია (სახვაძე 84), ბურდული, მელქაძე (იაშვილი 71), ახალაია.

ტორპედო: სტურუა, ჰელიძე, ხვადაგიანი, მახვილაძე, თოდუა, ბაბუნაშვილი, კვეტენაძე (ყიფიანი 46), გამეზარდაშვილი, ახალკაცი, პორომინი (ქუთათელაძე 46), მუშკუდიანი, (ცვერნაძე 64).

გოლები: 1-0 ამისულაშვილი (18), 2-0, 3-0, ახალაია (62,69).

გააფრთხილეს: იაშვილი (73)

მსაჯები: მ. მალაღურაძე, (თბილისი)

ქუთაისელებს მართლაც დასტყობიათ მთავარი მეგოლის, ზურაბ იონანიძის გუნდიდან წასვლა. „დინამოსთან" მატჩმა თვალნათლივ დაგვანახვა, თუ რა ძალას წარმოადგენდა იონანიძე ტორპედოსთვის. თუმცა, სხვა რა გზაა, რიონისპირელებს მის გარეშე, ფაქტობრივად, იმ შემადგენლობით მოუწევთ ფონს გასვლა (როგორც ეროვნულ ჩემპიონატში, ისე უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე „ლანსთან"), რომლითაც საქართველოს ჩემპიონის წინაშე წარსდგნენ. რა დასკვნა შეგვიძლია გავაკეთოთ? ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, უნდა ითქვას, რომ ისეთ ქუთაისის „ტორპედოს", როგორიც ეროვნულზე ვიხილეთ, წარმოუდგენლად გაუჭირდება ჩემპიონობისთვის ბრძოლა. დიახ, აქ შეგნებულად ხაზს ჩემპიონობას ვუსვამთ, თორემ მეორე ან მესამე ადგილი ქუთაისელთათვის ვერაფერი ნუგეში იქნება. მოკლედ, „ტორპედო" თავის თავს არ ჰგავდა და ეს მაშინ, როდესაც ფრანგულ „ლანსთან" ორრაუნდიანი შეხლა-შემოხლა ახლოვდება. ალბათ, ერთი რამეც უნდა აღინიშნოს, კერძოდ, ისე ნურავინ გაიგებს, თითქოს, თბილისის „დინამოსთან" სტუმრები სულ მთლად უშანსოდ ყოფილიყვნენ. არავითარ შემთხვევაში. ტორპედოელები სათამაშო დროის გარკვეულ მონაკვეთში „იჩხვლიტებოდნენ" კიდეც, მაგრამ მათი იერიშები არ იყო სრულყოფილი და თითქოს, აღმაფრენას მოკლებული გახლდათ. მაშინ, როცა შეტევას სისწრაფესთან ერთად სიმწვავეც აკლია, რა გასაკვირია, რომ შედეგიც შესაბამისი იქნება. ისე, დაცვაშიც უამრავი წუნი ჰქონდათ ქუთაისელებს. მაგალითისთვის კი მათ კარში გასული პირველი გოლიც გამოდგება. დარასელია მარჯვენა ფლანგიდან აწვდის კუთხურს, მაღალი ჩაწოდება საჯარიმოში და ჯერ მელქაძე, შემდეგ ბურდული, ხოლო იქვე ამისულაშვილის თავური და გოლიც გამოცხვა. კი მაგრამ, სად იყვნენ ამ დროს მცველები, როდესაც, კარიდან სულ რაღაც ათიოდე მეტრში, ზედიზედ სამჯერ, აქედან ორჯერ თავით და ერთხელ ფეხით გაასწრებენ?! შემდგომში „დინამომ" სტუმართა კარის შორიდან დაბომბვა დაიწყო, რაშიც, ბუნებრივია, უმთავრესად დარასელია აქტიურობდა, მაგრამ ხან სტურუა ყოჩაღობდა, ხან კი დარტყმები იყო უზუსტო.

მეორე ნახევარი „ტორპედომ" პირველზე უფრო მონდომებით დაიწყო. შედარებით მოყოჩაღებულმა სტუმრებმა თამაში ლამის გაათანაბრეს, მაგრამ ზოიძემ თოდუას არ დაანება. რამდენიმე წუთში ზოიძეს ვერც ქუთათელაძემ აჯობა და შემდგომში ისევ დინამოს „ხანა" დადგა. მარცხნიდან კვირკველიას განავარდებისა და ჩაწოდების შემდეგ ახალაიას თავური უზადო იყო. შეიდ წუთში კი, როცა ჰელიძემ უწყინარ სიტუაციაში დაკარგა ბურთი, ახალაიამ დუბლიც შეასრულა და საკუთარ გუნდსაც, საკმაოდ, შთამბეჭდავი ანგარიშით მოაგებინა.

დავით ბერიაშვილი.

საქართველოს XV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
უმაღლესი ლიგა
II ტური

ტურის მიმოხილვა

სენსაცია მცხეთაში

ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურმა საკმაოდ სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. იყო ხმაურიანი სენსაციაც და ლიდერთა დაპირისპირებაში ერთის მიერ მეორის უშანსოდ დატოვებაც.

მოკლედ, ამ ტურში ვიხილეთ ყველაფერი ის, რაც აგრერიგად ალამაზებს ნებისმიერი ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატს. „დინამო" — „ტორპედოს" მატჩში ყოველივე ისე წარიმართა, როგორც გულშემატკივრებს გაუხარდებოდათ. იყო ორმხრივი შეტევები, ტექნიკის დემონსტრირება და რაც მთავარია, ორივე გუნდის მხრიდან კარში შორეული დარტყმები. მოკლედ, ტირანული ჰიპნოზიდან „დინამო" საბოლოოდ გამოვიდა და საკუთარ ფანობას ლამაზი გამარჯვება აჩუქა, თანაც ვისთან, ჩემპიონობისთვის უმთავრეს კონკურენტ „ტორპედოსთან." თუ ქუთაისელთა მარცხს ქვეყნის ჩემპიონთან შეიძლება რაღაც გამართლება მოუძებნო, იგივეს ვერ ვიტყვით „ვიტ-ჯორჯიაზე", რომელსაც გორში ისეთი გაკვეთილი ჩაუტარეს, რომ ალბათ, კარგა ხანს ემახსოვრებათ. გორელებმა თუ შემდგომშიც ასე გააგრძელეს, ალბათ, ნებისმიერი ქართული გრანდი მუხლების კანკალით ჩავა ამ ქალაქში. ასევე ლამაზი სიურპრიზი გამოდგა გულშემატკივრებისთვის მცხეთელთა მიერ თბილისის „ლოკომოტივის" წაქცევა. ჩემპიონატის დაწყების წინ მცხეთური გუნდის ხელმძღვანელობა იქადნებოდა, რომ საკუთარ მოედანზე ბევრ გუნდს დავაჩოქებთო. ისე აგიხდეთ ყველაფერი, როგორც ჯერჯერობით, ყოველივე ეს ასრულდა. მართალია შემადგენლობა შესუსტებული, მაგრამ, მაინც ყოველთვის ამბიციური „ლოკომოტივი", ბუნებრივია, რიხით ჩავიდა მცხეთაში, რათა პირველი გამარჯვება გამოედნო, მაგრამ პირიქით კი მოხდა, სამი ქულა დებიუტანტებს დარჩათ. „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობას კი ალბათ, ძალიან მკაცრი საუბარი ექნება ფეხბურთელებთან. თუ ფეხბურთელებთან უკმაყოფილებაზე მიდგა საქმე, ამ მხრივ არც ბათუმელები არ უნდა იყვნენ გამონაკლისნი. ზღვისპირელებმა პირველ მარცხს, ამჯერად ფოთის „კოლხეთთან" მეორეც მიაყოლეს და „სპარტაკ-ლაზიკასთან" ერთად ცხრილის ფსკერისკენ დაეშვნენ. ამ უკანასკნელზე ანუ „სპარტაკ-ლაზიკას" საშინაო მარცხზე „თბილისთან" კი რა უნდა ითქვას? ამ გადასახედიდან, გუნდი უმაღლესი ლიგის დატოვების ერთ-ერთ უმთავრეს კანდიდატად ითვლება და თუ რაიმე სასწრაფო ზომები არ იქნა მიღებული, შედეგი მეტად არასასიამოვნო იქნება. „თბილისი" კი ნელ-ნელა ადაპტაციას გადის და როგორც ჩანს, საკმაოდ ანგარიშგასაწევ გუნდად ყალიბდება. და ბოლოს, ბოლნისელთა სიხარული გავიზიაროთ. როგორც ჩანს „სიონი" საკმაოდ ნაყოფიერად მოემზადა ამ სეზონისთვის, რაც, ბუნებრივია, შედეგშიც აისახება. თბილისიდან ქულის წაღების შემდეგ, გუნდმა საკუთარ ახალგარემონტებულ და გაკოხტავებულ სტადიონზე უმაღლესი ლიგის დებიუტანტი „მერცხალი" დაიფრინა. ამ შეხვედრაში პირველი გოლი სტუმრებისა იყო, მაგრამ ბოლნისელებმა გამარჯვებისკენ სწრაფვა გამოავლინეს და საკუთარ გულშემატკივრებს კიდევ ერთი ლამაზი საღამო აჩუქეს.

დავით ბერიაშვილი

გააფრთხილეს: გ. ლომიძე (66)

მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი).

3. აგვისტო. მცხეთა. სტადიონი „არმაზი". 800 მაყურებელი

მცხეთა – ლოკომოტივი 2-1

მცხეთა: ცინაძე, თ. ჯაფარიძე, გ. ქებაძე, ძაგნიძე, რაქვიაშვილი (ამბიძე 80), ლ. ქებაძე, ჩაჩუა, თირქია (ჩიტაური 75), ბ. ნოზაძე, ლ. ჩხაიძე, მელიქია.

ლოკომოტივი: ლომაია, ზამთარაძე, ვაშაკიძე, ქოქაშვილი, კაკაშვილი (ქლენტი 70), გოგინაშვილი (მ. ბურნაძე 46), გ. მიქაძე, ხომერიკი, სირაძე, გ. ონიანი (უგრეხელიძე 29), სიჭინავა.

გოლები: 1-0 კაკაშვილი (ს..კ.4), 1-1 სირაძე (79), 2-1 ბ. ნოზაძე (88).

გააფრთხილეს: ჩაჩუა (27)

მსაჯი: ა. ორდინიძე (ონი)

ბათუმი. 2 აგვისტო. ცენტრალური სტადიონი. 3.000 მაყურებელი

დინამო (ბთ) – კოლხეთი 1913 0-1

დინამო: ქვაჩახია, მახარაძე, თედორაძე, გუშარაშვილი, მანჩხავა, ქაცარავა, კობიძე, ფირცხალაიშვილი, დარჩიძე, ფურცხვანიძე (ბ. თედორაძე 65), კაკალაძე.

კოლხეთი: ბათიაშვილი, ქუტიძე, შ. ლონლაძე, გოროზია (ნარსია 85), მინდაძე, ქობულაძე, ტულუში, აკობია, თაყაძე, დ. გოდერძიშვილი (მალანია 88), გ. ტყებუჩავა (გაგუა 65).

გოლი: 0-1 თაყაძე (78).

37-ე წუთზე პენალტი ვერ გაიტანა ტუღუშმა.

გააფრთხილეს: გაგუა (76), ქუტიძე (77), თაყაძე (78), ტულუში (80).

მსაჯი: დ. სანაია (სოხუმი).

ბოლნისი. 2 აგვისტო. თ. სტეფანიას სახელობის სტადიონი. 2000 მაყურებელი

სიონი – მერცხალი 4-1

სიონი: ვოლკოვი, კვაკვასკირი, ხუჯაძე, ჰიჭვიშვილი, გუჩუა, გაბიდაური, გაბისკირია, ფანჩულიძე, (პ. წიეწივაძე 46), კოშკაძე, გონჩაროვი (დ. ბაქრაძე 78), ისიანი (გ. შენგელია, 74)

მერცხალი: გ. გოგუა, კობაური, კვირკვია, ჭალიაშვილი (მანჯავიძე 76), გ. ილურიძე, გ. წიეწივაძე, მჟავანაძე, ბართაია, ჭინჭარაული, ხუჭუა, მებონია (გრიგორიევი 64).

გოლები: 0-1 გ. წივწივაძე (43 პ), 1-1 გონჩაროვი (50), 2-1 გაბისკირია (59), 3-1 პ. წივწივაძე (75), 4-1 გაბისკირია (77).

გააფრთხილეს: გუჩუა (38), მებონია (41), ჭინჭარაული (78).

მსაჯი: ზ. ანიაშვილი (გორი).

თბილისი. 2 აგვისტო. სტადიონი „ლოკომტივი" 500 მაყურებელი

სპარტაკი-ლაზიკა – თბილისი 0-3

სპარ-ლაზ; მამალაძე, ქვანია, წურწუმია, დ. სულაქველიძე, კოტრიკაძე, იმნაიშვილი (ჩიკვილაძე 85), კ. ალადაშვილი (კვერენჩხილაძე 66), ეგაძე, ბოლქვაძე, ებანოიძე, ტატანაშვილი.

თბილისი: ნაჭყეპია, მემარნიშვილი, სიდამონიძე, მიქიაშვილი (ხარებავა 58), ხოჯავა, მესხი, გ. ნუგზარის ძე ჰელიძე, აფციაური (მიკუჩაძე 66), დავითაშვილი (ელიავა 66), ჯაკობია, დათვაძე.

გოლები: 0-1 ჯაკობია (52), 0-2 ხოჯავა (86), 0-3 მიკუჩაძე (90).

გააფრთხილეს: ბოლქვაძე (13), კოტრიკაძე (15), წურწუმია (41), სულაქველიძე (45); მესხი (16), სიდამონიძე (53), ელიავა (88).

მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

ბომბარდირი

ლ. ახალაია (დინამო თბ) — 5.

ტურის სტატისტიკა

3 აგვისტო. გორი. ცენტრალური სტდიონი. 2000 მაყურებელი.

დილა – ვიტჯორჯია 3-0

დილა: სოლოლაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ლ. გოჩაშვილი, ბატაშვილი, გ. ლომიძე, ზ. ლაცაბიძე, გ. ჩიტაია, სულთანიშვილი (ოლგესაშვილი 80), ჯობაძე (საყვარელიძე 82), კაიდარაშვილი, ძოძუაშვილი (ლ. რაზმაძე 90).

ვიტ ჯორჯია: მერლანი, იმედაშვილი, კვახაძე, ინწკირველი, დილმელაშვილი, ლ. ნოზაძე, დ. დოლიძე (დათუნაიშვილი 67), მარცვალაძე, გოჩაშვილი (ლ. მერებაშვილი 46), ადამია (ფეიქრიშვილი 62), გოცირიძე.

გოლები: 1-0 ძოძუაშვილი (27), 2-0 ლაცაბიძე (64), 3-0 ძოძუაშვილი (89).

გათამაშების ცხრილი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
დინამო (თბ)	2	2	0	0	9-0	6
სიონი	2	1	1	0	5-2	4
დილა	2	1	1	0	3-0	4
კოლხ.1913	2	1	1	0	1-0	4
ვიტ-ჯორჯია	2	1	0	1	7-3	3
ტორპედო	2	1	0	1	2-3	3
მერცხალი	2	1	0	1	3-5	3
თბილისი	2	1	0	1	4-2	3
მცხეთა	2	1	0	1	2-8	3
ლოკომოტივი	2	0	1	1	2-3	1
დინამო (ბთ)	2	0	0	2	0-3	0
სპარტ-ლაზიკა	2	0	0	2	0-9	0

სფფ მწვრთნელს ეძებს

უკვე გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები 15-დან 22 თებერვლამდე კვიპროსის საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

მასპინძლები ამ ტურნირს უკვე ახალი ფორმატით ჩაატარებენ. კერძოდ, მონაწილე რვა გუნდს ორ ქვეჯგუფად გაყოფენ. ქართველები კვიპროსელებთან, ბელორუსებთან და სომხებთან ერთად იბრძოლებენ ჯგუფიდან გასასვლელად. მეორე ქვეჯგუფში რუმინეთის, უნგრეთის, ლიტვისა და ყაზახეთის ნაკრები გუნდები ითამაშებენ.

რაც შეეხება საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელის საკითხს. მას შემდეგ, რაც თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობამ ივო შუშაკს მხოლოდ კლუბში მუშაობის უფლება მისცა, საქართველოს ნაკრები მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უმოკლეს ვადაში მოუწევს ახალი მწვრთნელის დანიშვნა, რადგან 20 აგვისტოს ამხანაგური მატჩია დაგეგმილი სავარაუდოდ აზერბაიჯანის ნაკრებთან. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ივო შუშაკს მადლობა გადავუხადოთ ნაკრებში გაწეული მუშაობისთვის და მისი შემცვლელი მოვნახოთ. ვინ იქნება ნაკრების თავკაცი დარჩენილ სამ მატჩში, ამას რამდენიმე დღეში შევიტყობო.

31 ივლისიდან 3 აგვისტომდე

პირველი ლექცია-სემინარი ჩატარდა საქართველოში სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების მწვრთნელთათვის, რომელშიც მონაწილეობდა ქვეყნის 7 რეგიონის 98 მწვრთნელი. ლექცია-სემინარები კვლავ გაგრძელდება, 7-10 აგვისტოს „ნორჩი დინამოელის" საფეხბურთო სკოლის ბაზაზე და სპორტის აკადემიის აუდიტორიებში, ამჯერად, 80 მწვრთნელი მიიღებს შესაბამის განათლებას და პრაქტიკას. მეორე ლექცია-სემინარში საქართველოს 5, სომხეთის 2 და აზერბაიჯანის I რეგიონის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას.

აღნიშნული ღონისძიების გასაშუქებლად ჟურნალისტებმა მიაკითხეთ „ნორჩი დინამოელის" საფეხბურთო სკოლის ბაზას 18 საათზე 7 აგვისტოს.

ჩვენი გაზეთი იუწყებოდა, რომ საქართველოს სომხური დიასპორის სპორტული დელეგაცია დიდი მონდომებით ემზადება პანსომხური სპორტულ თამაშებში მონაწილეობისთვის, რომელიც სულ მალე გაიმართება ერევანში. ყველაზე ადრე თამაშებისთვის მზადება დაიწყო ფუტზალის გუნდმა, რომელსაც სურათზე ხედავთ. **მარცხნიდან. I რიგში:** მიშა ავეტისოვი, დიმიტრი ფირზადოვი, არტურ ერზიკიანი, გიორგი აკოფიანი, ემილ არუთინიანი; **II რიგში:** მწვრთნელი ილია ხიპაშვილი, დავით ოგანოვი, სერგეი ნაზარეტიანი, ალიკ სარქისიანი (კაპიტანი), გარიკ ოგანეზოვი, გიორგი მარტიროსიანი, თამაშების შტაბის წევრი იური მკრტუმიანცი.

ფოტო რობერტ ბაგოიანისა.

დაე, ფეხბურთელი ფეხბურთელობდეს...

გავეცანი რა გაზეთ „ლელო-ში" (№56, 25-28 ივლისი, 2003 წ.) გამოქვეყნებულ წერილს — „ერთად სოლიდარობის პრინციპით". გვინდა ჩვენი ზოგიერთი მოსაზრება გამოვთქვათ საქართველოში პროფესიული საფეხბურთო ლიგის ჩამოყალიბებისა და მისი მომავალი საქმიანობის შესახებ".

წერილიდან გამომდინარე, ძალზე საინტერესო და იმედის მომცემია ის, რომ ქართული ფეხბურთის ისტორიაში ეროვნულ ჩემპიონატს ეყოლება სპონსორები, რომ გენერალური სპონსორების როლში მოგვევლინება კომპანიები — „კოკა-კოლა", „საქართველოს ბანკი", „სტიმოროლი", „მარსი" და „ნიკორა", რომ პროფესიულ ლიგასთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს კომპანიებმა BCL-მა და „ჰელიოსმა", რომ მომავალში მათ „ალდაგიც" შეუერთდება. გაკვირვებას იწვევს „ყაზბეგის" და სხვა უმსხვილესი ფირმების არყოფნა გენერალური სპონსორების სიაში.

ადრე, როგორც კერძო საუბრებში, ისე ჩვენს პრესაში ხშირად გაისმოდა ხმები თუ სად ან საით მიდიოდნენ ახალგაზრდები, უდავოდ ნიჭიერი და დიდი იმედის მომცემი ტექნიკური ფეხბურთელები?!

საბჭოთა კავშირის დროს ჩვენი ნორჩი, ჭაბუკი და ახალგაზრდა ფეხბურთელები ხშირად იმარჯვებდნენ „ტყავის ბურთის" პრიზზე, „სიჭაბუკის თასზე", „იმედის თასზე", ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ნაკრებთა საკავშირო ტურნირებში, მაგრამ საბოლოო შედეგი და დანიშნულების მიზანი არცთუ სახარბიელო იყო, რადგან ამდენი საფეხბურთო ტალანტებიდან თითო-ოროლა თუ აგრძელებდა დიდ ფეხბურთში გამოსვლასა და თამაშს.

მართლაც, სად იკარგებოდა ფეხბურთის მომავალი ვარსკვლავები?! ისინი როგორც კი მიიღებდნენ საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატს, მაშინვე იწყებოდა მათი დახარისხება — დაკომპლექტება ჯგუფების მიხედვით და ხდებოდა განაწილება სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც ისინი მისაღებ გამოცდებს „შეღავათიან პირობებში" გადიოდნენ, ხდებოდნენ სტუდენტები და თანდათანობით ეთიშებოდნენ აქტიურ ფეხბურთს. ასე და ამგვარად, ჩვენ ხშირად ვკარგავდით საფეხბურთო ტალანტებს და მომავალ ვარსკვლავებს.

საერთოდ, საჭირო იყო ახალგაზრდებისთვის მიგვეცა საშუალება, რომ მათ გამოემჟღავნებინათ და სრულად ეჩვენებინათ თავიანთი თავი იქ, სადაც მეტი უნარი და საშუალება ექნებოდათ, აქსიომაა, რომ ფეხბურთელი უნდა ფეხბურთელობდეს, კალათბურთელი კალათბურთელობდეს, ექიმი ექიმობდეს, ინჟინერი ინჟინრობდეს და ა.შ.

თუ პელეს ან მარადონას არ დაუმთავრებიათ კოლეჯი ან უმაღლესი სასწავლებელი, ასპირანტურა ან აკადემია, რა დააკლდებათ ამით მათ?! მათ აქვთ დიდძალი ფული, უზარმაზარი კაპიტალი, სახელი და ავტორიტეტი. მათ უფრო იცნობენ მთელ მსოფლიოში, ვიდრე გამოჩენილ მეცნიერს თუ პოლიტიკურ მოღვაწეს. მთავარი კი აქ ის არის, რომ საერთოდ, პელე, მარადონა და მათი მსგავსნი, როგორც წესი, ქველმოქმედობენ და ეხმარებიან გაჭირვებულებს.

ჩვენში უკვე დამკვიდრდა ფეხბურთელთა პროფესიონალიზმი. დროა ვაღიაროთ, რომ ფეხბურთელობა ეს არის პრესტიჟული პროფესია და არ არის სავალდებულო მან ფეხბურთის თამაშით მიიღოს უმაღლესი განათლების დიპლომი და აქედან გამომდინარე, შეასრულოს სხვა არასპეციფიური პროფესიის სამუშაო. ფეხბურთელმა თავისი ცხოვრება უნდა უზრუნველყოს თავისივე პროფესიით — ფეხბურთით და მისადმი სწორი პროფესიული მიდგომით.

ადრე, როდესაც ბალეტის მსახიობი შემთხვევით ფეხს მოიტეხდა ან სხვა სახის ტრავმას მიიღებდა, ის პენსიაზე გადიოდა და სახელმწიფო ას კუთვნილ პენსიას უნიშნავდა, ოლო, როდესაც ფეხბურთელს ფეხს მოამტვრევდნენ, ის ხეიბარი ხდებოდა და მას არავითარ პენსიას არ უნიშნავდნენ. ამიტომ ისინი იძულებული იყვნენ თავიანთი არსებობისათვის სხვა შეუსაბამო და შეუფერებელი სამუშაო ეძებნათ, ეს იქნებოდა რომელიმე სავაჭრო ორგანიზაცია, მომსახურეობის სფერო, დაწესებულებათა დაცვის სამსახური, თუ სხვა. ზოგმა ფეხბურთელმა კი, ვინც „მოახერხა", იურიდიული განათლების მიღება, მილიციაში დაიწყო მუშაობა. ჩამოთვლილ სამუშაოებზე მიდიოდნენ ისინი, ვისაც ამის ნიჭი და უნარი ჰქონდათ. ბევრი კი თავის შემდგომ კარიერას ფეხბურთელთა მწვრთნელობაში აგრძელებდა. ასეთი იყო მათი ბედი შემდგომი არსებობისათვის ბრძოლაში. ასე და ამგვარად, იმ დროს საბჭოთა ფეხბურთელის ფსიქოლოგიური ხასიათის ყველა გასაჭირს კვლავ სოციალურიც ემატებოდა. ფეხბურთელი დაამთავრებდა რა საფეხბურთო კარიერას, ის ხშირად არარავისთვის იყო საჭირო...

ამიერიდან, როდესაც ჩამოყალიბდა საქართველოს პროფესიული საფეხბურთო ლიგა, საჭირო იქნება დღის წესრიგში დადგეს ფეხბურთელთა სოციალური ადაპტაციის საკითხი. ეს არის ძალზე დიდი პრობლემა, რომელსაც დემოკრატიულ, ცივილიზებულ და სამართლებრივ ქვეყნებში დიდ ყურადღებას აქცევენ, ჩვენთან კი, დღემდე იგი ჩრდილში იდგა, ხოლო თუ რამე კეთდებოდა ცალ-ცალკე, ის გამომდინარეობდა თითოეული ფეხბურთელის ავტორიტეტიდან, ანდა, იმის მიხედვით, თუ ვის როგორ გაუღიმებდა ბედი.

პსლ-მ ორგანიზაცია უნდა გაუკეთოს საფეხბურთო კლუბების კომპანიებთან და აქციონერულ საწარმოებთან მიმაგრებას, მათთვის დაზღვევის სააგენტოების, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ცენტრების დაარსება-ჩამოყალიბების და, რაც მთავარია, ხელი შეუწყოს ყოფილი ფეხბურთელების პირადი ცხოვრების მოწყობას — მათთვის ბინებისა და აგარაკების აშენების, ავტომანქანების შეძენის საკითხებში. ეს ყველაფერი იმიტომ უნდა გაკეთდეს, რომ სანამ ისინი საფეხბურთო მინდვრებზე გამოდიოდნენ, პირადი ცხოვრების მოსაწყობად ნაწილობრივ ან, საერთოდ, არ ეცალათ.

გავიხსენოთ ლეგენდარული სლავა მეტრეველის სიცოცხლის ბოლო დღეები, როდესაც მას სამკურნალო წამლებისთვის ფული არ ჰქონდა და საქართველოს ტელევიზია მაყურებლებს მიმართავდა, რომ გამოეძებნათ საშუალება და დახმარებოდნენ ავადმყოფს.

აი, რას ამბობდა წარსულში ცნობილი ველოსიპედისტი, მსოფლიოს ჩემპიონი ომარ ფხაკაძე: „... მე რომ მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი, საქართველოს მთავრობამ „სპიდოლათი" დამასაჩუქრა, ხოლო ელემენტარული, რაც ადამიანს სჭირდება — ბინა, ისიც კი არ მაღირსეს". ასე გულდაწყვეტილი წავიდა იგი ამქვეყნიდან. მისმა მუდმივმა მეტოქემ და კონკურენტმა, იტალიელმა დანიელ მორელონმა კი თავისი გამოსვლებისას იმდენი კაპიტალი დააგროვა, რომ საკმაოდ სოლიდური ბიზნესმენი გახდა, მას ავტომანქანები, ბინები და აგარაკები აქვს.

პელე ამჟამად ბრაზილიის მულტიმილიონერთა ელიტაში შედის და მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში თითოეული ფეხბურთელი, თუ სხვა სახის სპორტის წარმომადგენელი აყვანილი და განპირობებული ჰყავს თავისთან ამა თუ იმ ფირმას, კონცერნს, კომპანიას და მდიდარ ორგანიზაციას, სანამ სპორტსმენი აქტიური სპორტითაა დაკავებული, მისი სახელი ფირმის, კონცერნის ან კომპანიის რეკლამას ემსახურება, ხოლო, როდესაც სპორტსმენი სპორტულ კარიერას დაასრულებს, მას უკვე ფირმაში, კონცერნში ან კომპანიაში გარანტირებული აქვს სამუშაო ადგილი.

ჩვენი აზრით, საჭირო და აუცილებელია, რომ პროფესიული საფეხბურთო ლიგის ხელმძღვანელობას, სპონსორებისაგან დახმარებით, გახსნილი ჰქონდეს თავისი საკუთარი ანგარიში როგორც ლარებში, ასევე ვალუტაში, რომ მათ საშუალება გააჩნდეთ განავითარონ საფეხბურთო სტადიონების და მათი დამხმარე სათავსოების მშენებლობის ინდუსტრია, დაიწყონ საფეხბურთო ინვენტარის, სპორტტანსაცმლის, სპორტული, სუვენირებისა და ა.შ. გამოშვება-რეალიზაცია. ყველა მოპოვებული თანხის შემოსავლების ნაწილი უნდა გადაირიცხოს საპენსიო, სადაზღვევო და ინვალიდთა დახმარების სპეციალურ ფონდში, საიდანაც გარკვეული თანხა უნდა გამოყენებულ იქნას იმ ფეხბურთელთა სოციალურ რეაბილიტაციაზე, რომლებიც წავიდნენ ან წავლენ დიდი ფეხბურთიდან. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, საჭირო იქნება დახმარება გაუწიონ ყოფილ ოსტატებს, რათა მათ ცხოვრებაში ფეხი მოიკიდონ, მიიღონ საჭირო განათლება, ნორმალური პენსია და ა.შ.

პროფესიულმა საფეხბურთო ლიგამ უნდა იფიქროს, თუ როგორ შექმნას ფეხბურთის "ვარსკვლავები", როგორც ეს ხდება ცივილიზებულ მსოფლიოში. იქ საინფორმაციო საშუალებებით ძალზე ხშირად აშუქებენ ფეხბურთელთა პირადი ცხოვრების მომენტებს, მათ ყოველგვარ ქმედებას ფეხბურთში, თუ მის გარეთ. სწორედ ასეთი ინფორმაციებით ფეხბურთელები ძალზე პოპულარული ხდებიან. „ვარსკვლავების" შექმნა, უფრო სწორედ, ფეხბურთელთა იმიჯის შექმნა ფულადი კაპიტალის დაბანდებას მოითხოვს და ეს უნდა მოახდინონ ჩვენი ფეხბურთის სპონსორებმა.

უნდა მოეწყოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან ფეხბურთელებისა და მწვრთნელების გაცვლა-გამოცვლა. ყოველივე ეს კი გამოაცოცხლებს, გააქტიურებს და ხელს შეუწყობს საფეხბურთო ცხოვრებას და, რაც მთავარია, ქართულ ფეხბურთს მსოფლიო რანგის დონეზე აიყვანს.

დასასრულ გვინდა წარმატება ვუსურვოთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას და ახლახან ჩამოყალიბებულ, პროფესიულ საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტს დიმიტრი რამიშვილს, რომ მათ ერთობლივად და სოლიდარობის პრინციპით ყველაფერი გააკეთონ ქართული ფეხბურთის აღმავლობის განვითარებისა და აყვავების საქმეში, რომ ჩვენმა ფეხბურთელებმა საფუძვლიანად და მკაფიოდ აალაპარაკონ საფეხბურთო სამყარო.

ბურამ ჩხიკვაძე

ოთარ გაბელია საუკეთესო გოლკიპერად აღიარეს

მოსკოვში, „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა საბჭოთა კავშირის საგზაო მიმოსვლის ყოფილი მინისტრის ბორის ბეშჩევის ხსოვნისადმი მიძღვნილი საფეხბურთო ტურნირი, რომელშიაც იასპარეზეს საბჭოთა კავშირის, მოსკოვის, „ლოკომოტივის", კიევის „დინამოს", თბილისის „დინამოსა" და ერევნის „არარატის" ვეტერანთა გუნდებმა.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კავშირისა და მოსკოვის ნაკრებები. ანგარიშით 3-1 გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა.

მესამე ადგილისათვის გამართული მატჩის ძირითადი დრო „ლოკომოტივსა" და კიევის „დინამოს" შორის ფრედ (3-3) დასრულდა. პენალტების სერიაში რკინიგზელთა გუნდის ვეტერანებმა გაიმარჯვეს.

ტურნირზე დაწესებული იყო სხვადასხვა პრიზები. საუკეთესო მეკარისათვის დაწესებული პრიზი გადაეცა თბილისის „დინამოს" მეკარეს ოთარ გაბელიას, საუკეთესო მცველად აღიარეს ანდრეი კალაიჩევი („ლოკომოტივი"), საუკეთესო თავდამსხმელად — ოგანეს ზანაზანიანი („არარატი"), საუკეთესო მოთამაშედ — გიორგი იარცევი (საბჭოთა კავშირი), ხოლო საუკეთესო მწვრთნელად - ალექსანდრ მირზოიანი (მოსკოვის „ნაკრები").

პასუხად რეპლიკის გამო

ეს წერილი თელავიდან მივიღეთ, რომლის სათაური არ შევცვლილა, განმარტებით კი განვმარტავთ, რომ რეპლიკა თავადაა საგაზეთო ჟანრი და ასეთი რუბრიკით ჩვენს გაზეთში წერილი, რომელსაც ეხება თელაველი ავტორი, არ გამოქვეყნებულა. „რეპლიკად" მოინათლა ბოლო აბზაცი დ. ტორაძის წერილიდან „გივი ჩოხელის გახსენება". ალბათ აჯობებდა სათაური რუბრიკად დაესვა ავტორს, სათაურად კი, სხვა შეერჩია: ვთქვათ, „არა, თელავში ფეხბურთი არ ჩამკვდარა", ან სხვა რამ. ისე კი, მართებული იქნებოდა ავტორს თავშივე ეთქვა: „პასუხად ერთი წერილის ბოლო აბზაცისა", და არა რეპლიკის გამო. აქვე ვიტყვით, რომ ავტორს მადლობას მოვახსენებთ „თელავის სპორტული ორგანიზაციების სახელით" გამოხმაურებისთვის. ისე, ცხადია, აჯობებდა თუ პასუხი იყო გასაცემი, როგორც წესი, თვით იმ სპორტულ ორგანიზაციებს მიეწერათ, რათა გამოხმაურება ოფიციალურ პასუხად ჩაგვეთვალა, ახლა კი გულშემატკივრის პოზიციას უნდა დავჯერდეთ. წერილს, რომლის ტექსტს უცვლელად და შეუმცირებლად გთავაზობთ, ავტორი ასე იწყებს: „ლელოს" 54-ე ნომერში გ. ჩოხელისადმი მიძღვნილი წერილი მთავრდება ასე: „... თელავი უგუნდოდაა დარჩენილი და არც არავინ იწუხებს თავს კახეთის ამ უმშვენიერეს და ულამაზეს ქალაქში ფეხბურთის ასაღორძინებლად".

შემდეგ თელაველი ავტორი გვწერს: „შევეცდებით შეპასუხება, რაც შეიძლება ტაქტიანი იყოს, რადგან ჩვენ ავტორის ასაკიც არ ვიცით და იქნებ რეპლიკაც სიკეთისკენაა მიმართული. იქნებ ისიც გათვალეთ, რომ შეგეპასუხებოდით და ამით ჩვენს საქმეს წარმოაჩენდით. მაგრამ რეპლიკასაც გააჩნია. გარდაცვალებული დიდი კაცის გახსენება მორალის დიდი გამოვლინებაა, მაგრამ ამდენი ცოცხალი ადამიანის შრომის დაუფასებლობაც დიდი ცოდვაა.

ამბობთ. — „თავს არავინ იწუხებსო". რას ნიშნავს „შეწუხება". კინოფილმ „არაჩვეულებრივი გამოფენის" დიალოგს გამოვიყენებთ: ცხვირი ჰგავს? —. ჰგავს!

— ქალაქში ფეხბურთის ჯგუფები არის?

— მარტო ჯგუფები კი არა, სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლაა!

— თუ იგრძნობა ფეხბურთისადმი ინტერესი?

— ინტერესი და მერე როგორი — ბუგი და ბული ტრიალებს ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. კახეთში რომ დაცხება, ბული ავარდება, აბა რა იქნება.

— სათანადო კონტიგენტი არის?

— არის! სიები ამომრჩევლების არ გეგონოთ, ნაღდია. ანდა, მოზღვავებულ ბავშვთა ნაკადს ვინ შეაჩერებს, მობრძანდით, ნახეთ!

— მწვრთნელთა კადრი...

— ზოგიერთი „ბ" კლასების დროინდელი ფეხბურთიდან მოსდევს. ერთი, ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის აღმასკომის წევრიცაა, ოღონდ გაფორმებული არ გეგონოთ — ნაღდად მუშაობს. დანარჩენებიც ფეხბურთს ნაზიარები არიან, კონსულტანტიც გვყავს დისერტაცია დაცული.

— ბაზა თუ გაქვთ?

— რაიონის ყველა ბაზა, გ. ჩოხელის სახელობის სტადიონის ჩათვლით, ბავშვთა ფეხბურთის განკარგულებაშია, უწყებრივი ბარიერი არ არსებობს.

— შეჯიბრებები თუ ტარდება?

— მარტო ადგილობრივი შეჯიბრებები ათეულობით, მინიდან მოყოლებული დიდით დამთავრებული. ამაში რომ დარწმუნდეთ, საშუალო სკოლების დირექტორებს უნდა შეეკითხოთ, რომლებიც პროტესტს გამოთქვამენ — სასწავლო პროცესი გვეშლებაო! უფრო დიდი ღონისძიებები თუ გაინტერესებთ, — ფეხბურთის ფედერაციის ოქმები დაგიდასტურებთ, თუ რამდენ ასაკობრივ ჯგუფში იღებენ მონაწილეობას თელაველი მოზარდები — ყველა ასაკში, საკმაოდ შედეგიანადაც.

— „ზემოდან" ყურადღებას თუ გრძნობთ?

— დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, მათ მართლაც უყურადღებობას ვერ დავწამებთ, გინდ მატერიალური, გინდ მორალური თვალსაზრისით — რეგიონალური, რაიონული და საქალაქო თავკაცები ბავშვთა ღონისძიებების მუდმივი თანამგზავრები არიან. ორი უწყების მეორე და მესამეს პირველი პირები ყოფილი ფეხბურთელები არიან, რაიონის გამგებელი კი გ. ჩოხელის სტადიონის ამშენებელია. ჰოდა, ამდენი „მაკონტროლებლის" პირობებში ვინ გაპატიებს . ამ მართლაცდა, სახალხო თამაშის უპატივცემულობას, მითხარით ერთი.

— შედეგი?

— ქვეყნის პირველი და ოლიმპიური ნაკრებების ძირითადი წევრია, ანდრეი ბიბას თქმით, კახა კალაძეზე არანაკლებ პერსპექტიული ალექსანდრე ამისულაშვილი, ახალგაზრდულის წამყვანი ფეხბურთელია გოლეადორი და დღევანდელი დინამოელი სანდრო იაშვილი. მათ გარდა ათეული სხვა ფეხბურთელი უმაღლეს ლიგაში ასპარეზობდა, დღეს კი ჩვენსკენ მობრუნდნენ — რეგიონლიგიდან უმაღლეს ლიგაში გვინდა.

— რატომ არ გვყავს გუნდი მაღალ ეშელონში? — უპატივცემულოდ მოგვეპყრნენ ეროვნული პირველი ჩემპიონატის დაკომპლექტებისას, არ გაითვალისწინეს ამხელა რეგიონის პოტენციალი. ლიგის სპორტული პრინციპით შედგენა ჩვენი გაჩუმების ხერხი აღმოჩნდა. ვიშრომეთ და ადგილობრივი კადრით შევანგრიეთ უმაღლესი ლიგის კარი. შემდეგ „კახეთს" „დინამოს" სარეზერვო გუნდის სტატუსი მოარგეს. აქ სხვებთან ერთად გიორგი დემეტრაძეც თამაშობდა. იქნებ მათი წილიც მოგვეთხოვა, რა თქმა უნდა, ფულადს არ ვგულისხმობთ, უბრალოდ; ქართული ფეხბურთის „აღორძინებისა". 97-ში სტადიონზე მომხდარი ინციდენტის გამო ექსტრემალური „მინუსი" გვითავაზეს და, კახურად რომ ვთქვათ, ჰიტლაყით გამოგვისროლეს იქიდან — პატივება შეიძლებოდა. ჰოდა, გონს ძლივსღა მოვეგეთ ასეთი პანღურის შემდეგ, ახლა გუნდი რეგიონლიგაში გვყავს და წინ ვიყურებით, ბავშვებზე კი უკვე მოგახსენეთ, თუმცა... თელაველი ბიჭები „კოკა-კოლას" მთავარ პრიზს იღებენ, შემდეგ „პრეზიდენტის თასის" დიდ აჟიოტაჟიან ტურნირს, დღეს კი Foks Kids-ის ქართული ეტაპი გადალახეს და ჰოლანდიაშიც, მსოფლიო ჩემპიონატზე ორი მოგებით თავი არ შეურცხვენიათ.

ეს, რაც გვაქვს, ახლა კი რაც არ გვაქვს და არ გვყავს. არ გვყავს ბერლუსკონი და პატარკაციშვილი, ფერგიუსონი და დელ ბოსკე. არ გვაქვს „ნოუ კამპის" და „ამსტერდამ-არენას" კომფორტი და რატომ. იმ ჩვენი დიდი კაცის სახელობის და ჩვენივე აშენებულის, შემდეგ საბჭოურად გასხვისებული სტადიონის უკან დაბრუნებას რაიონის ხელისუფლების რამდენი ძალისხმევა დასჭირდა, გითხრათ? გურჯაანელებს უყვართ სიტყვა — „ვერანა", ჰოდა ასეთი გავერანებული გამოვისყიდეთ უკან, ახლა მის გამოსწორებას რაიონის ერთი წლის ბიუჯეტი სჭირდება. ჩვენც ნელ-ნელა ვაკეთებთ და ინგლისელ ვადაგასულ „გრანდებსაც" ვმასპინძლობთ ასეთი დევიზით — „მივანიჭოთ ბავშვებს ბედნიერება ფეხბურთით". ხვალ-ზეგ ევროპული ფეხბურთის განვითარების პროგრამა — „სახალისო ფეხბურთის" ერთკვირიანი წვრთნა-სემინარიც უნდა განვახორციელოთ. ისე ჩვენი საქმე, კაცი ორ სალამურზე რომ უკრავდა და მაინც დაიწუნეს — რატომ არ მღერისო. რა ვქნათ, კახელები ვართ და დინჯ ხალხად მოვიაზრებით და თუ გურამ შარაძის გამონათქვამს განვავრცობთ, — იქნებ ჩვენც ეროვნულ რეკვიზიტში „დინჯი ქართველიც" ჩაგვეწერა. ჩვენი მთავარი მდინარე ნელა მოლივლივებს, ვაზის მოვლასაც სიდინჯე და მოთმინება სჭირდება, ციკლი წლიურ, შეუსვენებლივ შრომას მოითხოვს, ექსკვირიანი სიმინდი ჩვენი კულტურა არ არის. ჰოდა, ასეთი გენური ხასიათის პატრონებს არ გვიყვარს ყვირილი — აი, ასე ვზრუნავთ ფეხბურთზეო. ან რაზე უნდა ვიყვიროთ — ეს ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა. და კიდევ ერთი. არის რაიონები, სადაც მარტო ფეხბურთი „მოჰყავთ", თელავი კი კახეთის არა მარტო ადმინისტრაციული, არამედ კულტურული ცენტრიცაა. სწორედ ასეთი სტატუსი გვავალებს მოჭადრაკეებიც გვყავდეს და მოჭიდავეებიც, კალათბურთელებიც და ხელბურთელებიც, მოკრივეებიც და ძალოსნებიც, ჩოგბურთელებიც და ტანმოვარჯიშეებიც, ოლიმპიადის საგზურიც გვინდა და მივიღებთ კიდეც.

აი, ასე ვიხარშებით, როგორც ყველა ქართველი ნელ ცეცხლზე. თუ შეგვინთეს, ჩვენც ავდუღდებით. ისე კი, რამ გაგებრაზა, კაი რეპლიკა გამოგივიდათ!

თელავის სპორტული ორგანიზაციების სახელით ნიკო ვაყელიშვილი.

P.S. *თელავი დიდად განიცდის „დიდი" გუნდის უყოლობას, მაგრამ ყველაფერს თავისი ახსნა აქვს, მთავარია, რომ აქ ზრუნავენ ფეხბურთის ასაღორძინებლად.*

რედაქციისაგან: ავტორისა არ იყოს, წერილის შესავალში რედაქციაც შეეცდა ტაქტიანი ყოფილიყო, თუმცა საკვირველია, ან ჩვენ რა გვაქვს საბოდიშო ან ავტორს, მით უფრო, რომ გ. ჩოხელისადმი მიძღვნილი წერილის ის ბოლო აბზაცი სულაც არ იძლეოდა ვინმეს გაგულისების საბაბს. ისე, „ჩასაფრება" სულაც არ იყო საჭირო, რომ თელავის საფეხბურთო საგმირო საქმეებზე, ჩვენს პატივცემულ ავტორს, ან სხვა ვინმეს, ადრე სრულიად უმიზეზოდ მოეთხრო „ლელოს" მკითხველისთვის. ამისთვისაც კიდევ ერთხელ ვუხდით მადლობას ნიკო ვაყელიშვილს, რომელმაც, თუ ცხადია, თავად იქნება თანახმა, დიდი სურვილი გვაქვს შეავსოს კახეთის მხარეში „ლელოს" საკუთარი კორესპონდენტის ვაკანსური ადგილი.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

გერმანული სიურპრიზები და აშვეთიას დუბლი

თანდათან ძალაში შედის ახალი საფეხბურთო სეზონი, ევროპის საფეხბურთო გრანდები უკვე გენერალურ რეპეტიციებს ამოვარებენ. გერმანიაში კი ბუნდესლიგის ჩემპიონატი დაიწყო.

როგორც მოსალოდნელი იყო, ტიტული ჩემპიონობა მიეგებინა „ბაიერს“ 3-1 დაამარცხა ბუნდესლიგაში დაბრუნებული „ინტერსატი“. დანარჩენ შეხვედრებში კი ბევრი მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა.

„ჰერტამ“ საკუთარ მოედანზე მარცხი იწვნია „ვერდერთან“ შეხვედრაში. ბერლინელთა ბედი „ამბურგმაც“ გაიზიარა, რომელმაც შინ ვერაფერი გაიწყო „ბაიერთან“ და სამი გოლი გიგუშა.

„მიუნხენი-1860“-ს შრომის ერთადერთი გოლის წყალობით სტუმრად მოეგო „აინტრაქტი“, „ჰანზა“ „ბოხუმს“ შორის. მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს თამაში და „ოლდსტაუერი“ მე-19 წუთისთვის უკვე 2-0 იყვნენ, თუმცა ეს უპირატესობა ტაბის მიწურულს გაჯარა. „ბოხუმმა“ მაღლანსა და ფაჩერმარსენის გოლების წყალობით წონასწორობა აღადგინა (2-2). მეორე ტაიმში პტრიოვის გოლა გამარჯვება მოუტანა „ოლდსტაუერს“.

ქართველი გულშემატკივრების ყურადღება, ცხადია, მიპყრობილია „ფრანკფურტისა“ და „შალკესაკენ“, სადაც ქართველი ლეგიონერები თამაშობენ.

პირველ ტურში „შალკე“ შინ დორტმუნდის „ბორუსიას“ შეჰვდა. მასპინძლებმა 38-ე წუთზე გახსნეს ანგარიში — თავი გამოიჩინა ჰამიტ ალტინტაპმ. მაგრამ მეორე ტაიმში კიდევ ერთხელ აიღო დორტმუნდელთა კარი. 66-ე წუთზე ასამთან ერთი გოლი გაკეთა, უკანასკნელ წუთზე კი მარსსე ამორჩაზემ დამარცხებას გადარჩინა „ბორუსია“.

პაციერი - ფრანკფურტი.
ბურთისთვის იბრძვის ალექსანდრე ილიჩევი

„შალკეს“ შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშა კობი აშვილმა, რომელმაც საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

რაც შეეხება ია-შვილისა და ცქიტაშვილის, „ფრანკფურტს“, ეს უკანასკნელი ლეგიონელებს „ბაიერსა“ გაანდგურა 4-1. „ფრანკფურტს“ შემადგენლობაში 90 წუთის განმავლობაში ითამაშა ია შვილმა, ხოლო ცქიტაშვილი მეორე ტაიმში შემოდა მოედანზე — მან ბერნერი შეცვალა.

მეორე ტურში, რომელიც 9-10 აგვისტოს შედგება, ერთმანეთს შეხვდებიან: დორტმუნდის „ბორუსია“ — „ვოლფსბურგი“, „ყოილნი“ — „ყაიზერსლაუტერნი“, „ბაიერი“ — „ბაიერნი“, „ფრაიბურგი“ — „ჰანზა“, „მიუნხენი“ — „შალკე“, „ბოხუმი“ — „ჰამბურგი“, „ვერდერი“ — „მიონხენგლადბახი“, „ინტრატტი“ — „ლეგიკუეზნი“, „შტუტგარტი“ — „ჰერტა“.

დაიწყო **ბუნდესლიგის ჩემპიონატიც**. „მონაკოს“ შიანი ნინდას დუბლის წყალობით სძლია „ბორდოს“, „მარსელმა“ იბრაჰიმ ბაკაიოკოს ერთადერთი გოლით მოეგო სტუმრად „გინგამპს“. ბევრისთვის მოულოდნელად, „ლიონი“ 0-2 დამარცხდა „ლილისთან“. დანარჩენი მატჩები ასე დასრულდა: „ტულუზა“ — „სტრასბური“ 1-1, „სოშო“ — „ანანტი“ 2-1, „ასე — „ბასტია“ 0-0, „მონპელიე“ — „ენენი“ 1-1, „მეცი“ — „ითამო“ 1-1, „ლანსი“ — „ლუმანი“ 0-0, „ოსერი“ — „ნიკი“ 1-2. **რუსეთის ჩემპიონატის** მორიგ ტურში ცენტრალური მატჩი შეხვდა მოსკოვურ გუნდებს — „სპარტაკსა“ და „ლოკომოტივს“ შორის. რკინიგზელებმა ბევრისთვის მოულოდნელად, ოფიციალურ მეტოქე — მათ 5 გოლი გაიტანეს „სპარტაკეულთა“ კარში, რასაც ამ უკანასკნელმა ორი გოლით უპასუხა.

„ლოკომოტივის“ შემადგენლობაში მოთამაშე მიხეილ აშვილის ანგარიშზეა 2 გოლი.

ჩემპიონატის ლიდერმა ცსკა-მ სტუმრად ფრედ დასრულა შეხვედრა „შინოკოთან“ (1-1), სტუმრადვე დამარცხდა ვლადივავკაზის „სპარტაკ-ალანია“, აფჯერად „ზენიტთან“ 1-2.

სხვა მატჩები: „რუბინი“ — „ჩერნომორეცი“ 3-1, „როტორი“ — „სატურნი“ 0-1, „ურალანი“ — „სპრილი სოუტიეი“ 0-0, „დინამო“ — „როსტოვი“ 1-1, „ტორპედო“ — „ტორპედო-მეტალურგი“ 3-0.

19 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილის პირველ სფეხურზეა ცსკა, რომელსაც 41 ქულა აქვს და 7 ქულით უსწრებს ფაზლოვს მდევარს — „სატურნს“. ფნდა ითქვას, რომ გაზაევის გუნდს 20 მატჩი აქვს ჩატარებული. 33 ქულით მესამე ადგილზეა მოსკოვის „დინამო“.



დიდი გი ტისი ცოცხალი აღარ არის

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 80 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ბელგიელი მწვრთნელი გი ტისი, რომელიც 13 წლის (!) განმავლობაში ხელმძღვანელობდა ბელგიის ფეხბურთელთა ნაკრებს, შემდეგ თავისი ადგილი დაუთმო ჟაღლერ მიუზეუვუს, მხოლოდ 6 თვით. ბელგიის ნაკრები გი ტისმა საბოლოოდ 1991 წელს დატოვა. მისი თაოსანობით ბელგიელმა ფეხბურთელებმა 114 მატჩი გამართეს, აქედან 50 შეხვედრა მოიგეს, 27- ფრედ დაასრულეს და 37 მატჩში მარცხი იწვნიეს.

გი ტისის ყველაზე თვალსაჩინო წარმატება გახდადა ევროპის 1980 წლის ჩემპიონატის ფინალში გასვლა, სადაც ბელგიელი ფეხბურთელები ანგარიშით 1-2 დამარცხდნენ გერმანიის ფედერაციული რესუბლიკის გუნდთან, აერთვე, მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატზე დაკვალიფიცირებული მეოთხე ადგილი. სწორედ ამ პერიოდში ჩაუყარეს საფუძველი ბელგიელებმა „თამაშაარე მდგომარეობის ხელოვნურად შექმნის თეორიას“, რომელის, ასე ვთქვათ, „პრეზენტაციაც“ მექსიკაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოახდინეს.

ბოლო პერიოდში გი ტისი აქტიურად თანამშრომლობდა ბელგიის საფეხბურთო ასოციაციასთან, იყო მწვრთნელთა სკოლის წევრი. მისი მოწაფეები არიან პოლ ვან ჰიმსტი, ვინფრედ ვან მური და ეორგ ლეიკენსი.

მიხაელ ბალაკი: „ჯერ არ ვიცით, რომელ ადგილს დავიკავებთ“

უკანასკნელი 5 სეზონის განმავლობაში მიეგებინეს „ბაიერნმა“ 4-ჯერ მოიგო ბუნდესლიგის ჩემპიონატი. წელსაც ეს გუნდი მთავარ ფავორიტად ითვლება, „ბაიერი“ ახალი მწვრთნელის დასაკრძალადაც ემზადება. მიეფხენელებმა „ინტერსატთან“ გამარჯვებით დაიწყეს გერმანიის წლეულინელი ჩემპიონატი. გუნდის ლიდერი მიხაელ ბალაკი კი თავს იკავებს წინასწარი პროგნოზებისაგან.

— ჩვენ ჯერ არ ვიცით, რომელ ადგილზე გავალთ. ამის თქმა ორი ტურის შემდეგ შეიძლება, როცა საფეხბურთო რიტმში სრულად ჩავყდებით, — განაცხადა ბალაკმა. — გუნდი ჯერ კიდევ ეძებს საკუთარ თამაშს, და კიდევ, ყველა ფეხბურთიელი სხვადასხვა დონეზეა სეზონისათვის მზად.

ვიმეორებ, რამდენიმე თამაშია საჭირო შეთამაშებისათვის.

— ამ სეზონში „ბაიერი“ აქცენტს დაცვაზე გაამახვილებს თუ თავდასხმაზე?

— ვფიქრობ, ეს. „ოპრის შუალედს“.

— ვის თვლით ძირითად კონკურენტად?

— დორტმუნდის „ბორუსიას“, „შალკეს“, და „ჰამბურგს“.

ლუიშ ფილიპე სკოლარი: „ორ ნელიწადში რონალდინიო მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი იქნება“



ბრაზილიის ნაკრების ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა, ამჟამად პორტუგალიის ნაკრების თავკაცმა ლუიშ ფილიპე სკოლარიმ განაცხადა, რომ რონალდინიოს შეძენა „ბარსელონასათვის“ უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია.

„ასორმოცდაათი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ რონალდინიო მალე შეეთვისება ესპანურ ფეხბურთს და დიდი წარმატებები ექნება. მერწმუნეთ, 2 წლის შემდეგ რონალდინიო მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გახდება“.

რონალდინოს შეძენასთან დაკავშირებით „ბარსელონას“ პრეზიდენტს ყოან ლაპორტას ხშირად უყვარს ერთი ამბის მოყოლა: თურმე, როცა ბექჰემი „რეალში“ გადავიდა, ლაპორტასთვის შვილს უთქვამს ხაწოლდინ — რონალდინო იყიდეო...

„ბებერი ქალბაზონის“ მინი-რევანში

ამშ-ს ჭალკ ისტ-რეტერფორდში გაიმართა მატჩი იტალიის ნაკრებსა-სზე. ამერიკელი მაყურებლების ნაწილი წარსდგენენ ევროპის ჩემპიონთა ლიგის ბოლოდროინდელ ფინალისტები — „მილანი“ და „იუვენტუსი“.

სტადიონზე მრავალად იყვნენ იტალიური დიასპორის წარმომადგენლები, რომელთა ფიცი ნაწილი „იუვენტუსს“ უჭერდა მხარს. ის კი არა, ერთ-ერთ ტრიბუნას ამშვენებდა უზარმაზარი ალუკი წარწერით — „ნიუ-იორკში უყვართ „იუვენტუსი“. მატჩი უშედეგოთო ბრძოლაში წარიმართა. „იუვენტუსს“ უყვართასთან ალების გარდა, ერთი სუსტი ადგილიც ჰქონდა, — სამაგალო გადაუდგა „მილანისათვის“ ჩემპიონთა ლიგაში დამარცხებისთვის. მატჩის ძირითად დროში გოლი არ გასულა. დაინიშნა დამატებითი დრო. 104-ე წუთზე „იუვენტუსის“ შეეხებოდნენ თამამთა წესი დაარღვიეს საკუთარ საჯარიმო მოედანზე და მატჩის არბიტრმა ტურინელთა კარში 11-მეტრიანი დანიშნა, რომელიც პირლომ ზუსტად შეასრულა. ერთი წუთის შემდეგ, როგორც ხშირად ხდებოდა ხოლმე იტალიაში, ტრაზეგემ წონასწორობა აღადგინა და საქმე მიეიდა პენალტების სერიამდე, სადაც უფრო ზუსტი „იუვენტუსის“ ფეხბურთელები აღმოჩნდნენ (5-3).

ასე რომ, „იუვენტუსმა“ აიღო მინი-რევანში, ყოველშემთვევაში ასე თვლის ტურინელთა მთავარი მწვრთნელი მარჩელო ლიპი, რომლის სიტყვებს თუ დავუჯერებთ, მთავარ რეგალშია „ბებერი ქალბატონი“ მომავალში აიღებს.

ლიპის განცხადებით, სუპერთასის ალება მან მოუძღვნა ახლახან გარდაცვალილ „იუვენტუსის“ პრეზიდენტს ვიტორიო და კიეზანის ხსოვნას.

გაგაცანით იტალიის სუპერთასზე მონაწილე გუნდების შემადგენლობას:

„იუვენტუსი“: ბუფონი, ბირინდელი, იელიანინი (ნირო ფერარა, 106), ლეგროტაგლი, ნედვედი, ჯამბროტა, ტაკინარდი, ამია, დელ პიერო (დი ვაინი, 69), ტრეზეგე, მიკელი (ამორანეზი, 54).

„მილანი“: ამიატი, კალაგე, მალდინი, ნესტა, კაფუ, რეი კოშტა (ბრეკი, 81), ბ ა ტ ე (ამბროზინი, 45), პირლო, ზეედორფი (სერეინო, 77), ინჰაგი, შევჩენკო.



ოლეგ რომანცევმ ბელარუსის ნაკრების უხელმძღვანელებს?

არ არის გამორიცხული, მოსკოვის „სპარტაკის“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი ოლეგ რომანცევი სათავეში ჩაუდგეს ბელარუსის ნაკრებს. ამ დღეებში რუსი სპეციალისტი ბელარუსის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას შეხვდება. მის გარდა ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე კიდევ რამდენიმე კანდიდატია. ბელარუსის მთავარი მწვრთნელის ვინაობა 8 აგვისტოს გაირკვევა.

ტორტი ბექჰემის სამეფტრიანი „ქანდაკებით“

ახიარ ტურნეს აგრძელებს მარდიდის „რეალი“, რომელიც გუშინწინ ტოკიოში ჩაფრინდა. აეროპორტში ესპანეთის სამეფო კლუბს დახვდა 3000-მდე გულშემატკივარი, რომელთა შორის ქალები სჭარბობდნენ. მათ დეკედ ბექჰემის ნახვა სურდათ.

ადგილობრივ საკონდიტროს თანამშრომლებმა კი ინდანსიური ფეხბურთის გარსკვლავს სიურპრიზი დაახვედრეს — გამოიცხვეს სამი მეტრის სიმაღლის ტორტი ბექჰემის „ქანდაკებათ“. ამ დღეებში „რეალი“ ჩინეკეონგსა და ტალანდს ეწვევი.

მადრიდის „რეალის“ ვარჯაშმა ტოკიოს ულტრათანამედროვე სტადიონზე უდიდესი ინტერესი გამოიწვია. თავად განსაჯეთ: ესპანური კლუბის ფეხბურთელთა მოთვლელებს ესწრებოდა 45 ათასი მაყურებელი.

ბოლო მეკარემ გაიტანა

ბრაზილიის ჩემპიონატის მორიგ ტურში „ინტე პრეტარა“ და „ფლამენგოს“ შორის მატჩის ბოლო წუთებზე მასპინძლთა გუნდის გოლკიპერმა კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი თავით ზუსტად გაგზავნა „ფლამენგოს“ კარის მიმართულებით. გოლკიპერ ლატოს ამ გოლმა „ინტე პრეტა“ დამარცხებას გადაარჩინა. მატჩი ფრედ დასრულდა 1-1.

ხუთ განმეორებითი მატჩებია

6 აგვისტოს გაიმართება ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებითი მატჩები. ერთმანეთს ხვდებიან: „ბაკანი“ (ისრაელი) — ვილნიანა (სლოვაკეთი), ჰიკ (ფიროეთი) — მტკ (უნგრეთი), „ვარდარი“ (მაკედონია) — ცსკა (რუსეთი), „ბატფორი“ (ფერეროს კუნძულები) — „შერიფი“ (მოლდოვა), „ომონია“ (კვიპროსი) — „ფისული“ (პოლონეთი), ცსკა (ბულგარეთი) — „პიონეერი“ (სომხეთი), „ერაკლერი“ (ავსტრია) — „ტრარნა“ (ალბანეთი), „ანდერლეხტი“ (ბელგია) — „რაპიდი“ (რუმინეთი), „სელტიკი“ (შოტლანდია) — „ყაუნანი“ (ლატვია), „ლილმა“ — მალტა) — „კოპენჰაგენი“ (დანია), „იუერგარდენი“ (შვედეთი) — „პარტიზანი“ (იუგოსლავია), „დინამო“ (ბორვატია) — „მარიბორი“ (სლოვენია).



NBA

ვილერი ცქიგიშვილის თანაგუნდელი გახდა

ნბას კლუბ „ლოსანჯელესის“ აწ უკვე ყოფილი გამოამშვიდეთ ანდრე მილერი ამ სეზონში „დენვერის“ ღირსებას დაიცავს. „ლოსანჯელესს“ მიტოვების მიზეზი ის იყო, რომ მილერს ამ კლუბის ხელმძღვანელობამ უარი განუცხადა ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე, რომლის მიხედვითაც კალათბურთელს უახლოესი 6 სეზონის განმავლობაში 51 მილიონი დოლარი უნდა მიეღო.

სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ანდრე მილერის მოსვლით „დენვერს“ გამოამაშვიდა პრობლემა საბოლოოდ მოგსწავება, არადა, ამ ზაფხულს გამარაოულ საწვრთნელ შეკრებებზე გამოამაშვიდლის პოზიციაზე „დენვერის“ ხელმძღვანელობამ 8 (!) კალათბურთელი გამოსცადა.

2001-02 წლების სეზონში ანდრე მილერი „ლოციენტენში“ თამაშობდა და თითოეულ მატჩში საშუალოდ 10,9 შედეგიან გადაცემას აკეთებდა. „ლოსანჯელეს“ შარშან გატარებულ სეზონში კი ეს მაჩვენებელი 6,7-მდე დავიდა, მანამდე კი, საშუალოდ 13,6 ქულასაც აგროვებდა. ამის მიზეზი კი ზზრი ტრავმები იყო. ახლა მილერი ჯანმრთელად ხედება ახალ სეზონს და სპეციალისტების აზრით დიდ დამპმარებას გაუწევს ცქიტაშვილის გუნდს.

მონტოიას ავარია დაეხმარა

ხუან პაბლო მონტოიამ, რომ იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით გაიარა პოუენსაიმის 67-წრიანი ტრასა და გერმანიის „გრან-პრი“ დაისაკუთრა. ეს არის მისი მესამე გამარჯვება სარბოლო კარიერაში. სანტტერესოა, რომ „ფორმულა 1“-ის დანარჩენმა პილოტებმა კონკურენცია ვერ გაუწიეს კოლუმბიელს.

პოუენსაიმის ტრასაზე პირველივე წრეში მოვლენები მონტოიას სასარგებლად განვითარდა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის... „ავარიის“, რომელიც პირველივე მოსახვევში მოხდა — ბარიკელოს, რაიკონენის, რალფ შუმახერის, ფირმანის, ფერნანდესის და ფიოლსონის მონაწილეობით. „ბაჟალარნის“ ფინელი პილოტი ცდილობდა, ბარიკელოსთვის გადაესწრო. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ არ უშვებდა წინ რალფ შუმახერს, ამის გამო ბოლოდგები ერთმანეთს შეეჯახნენ. ეოტა ხაში კიდევ ერთი ავარია მოხდა. ამ დროისათვის ხუან პაბლო მონტოია დამაჯერებლად მიწევედა პირველ პოზიციაზე და თანდათან ზრდიდა სხვათას უახლოეს კონკურენტებთან. ცხადია, „ფილიპმორის“ პილოტი პირველი მიიკრა ფინიშთან. გამარჯვებელს ნაჩვენებმა დრომ 1 საათი, 28 წუთი და 48,769 წამი შეადგინა.



მეორე ადგილზე გავიდა ლეგენდ კულტპარი („მაკლარენი“), ხოლო მესამეზე — იარონ ტრული („რენო“) რაც შეეხება მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს მიჰაელ შუმახერს, იგი ფინიშთან მეშვიდე მიიჭრა, თუმცა პირველ წრეში მოიმოდარა ავარიამ, საერთო ჩათვლაში 71 ქულით პირველი ადგილი შეინარჩუნა. მონტოია „ფერარის“ პილოტს 6 ქულით ჩაჩორნება. 62 ქულით მესამე ადგილზეა კიმი რაიკონენი („მაკლარენი“).

ჭადრაკი რინგზე გასვლის წინ?

ანუ ისევ თემაზე — „ზოგი ასე უბერავს“



ფერანილ მოკრივეს ეიტალი კლიჩკოს ლენინგრადელი ლიუსოთან ორთაბრძოლის წინ, თურმე თავის მეტოქესთან... ჭადრაკის თამაში მოსდომებია.

„კარგი იქნებოდა, ჩვენ ძალები ჯერ ჭადრაკში მოგვესინჯა, შემდეგ კი, რინგზე“ — განუცხადა კლიჩკომ ერონალისტებს. ეტყობა, ფერანილ მოკრივეებთვის ლიუსთან წინა შეჯიბრაში მარცხს გაეღება მოუხდენია. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ... ლიუსისიც თანამამა, ითამაშოს ჭადრაკი.

ეროობისათვის, კლიჩკო-ლიუსების ორთაბრძოლის თარიღად პირობითად 6 დეკემბერი რჩება, ხოლო საკადრაკო მატჩის თარიღი ჯერ არ დაუდგენიათ.

ედი ირვინი კინოვარსკვლავი ხდება?

„ფორმულა 1“-ის ეს ბალეტი ედი ირვინი ამირეზის ბედი სამსახიობო ასპარეზზე სცადოს. ის ამჟამად იმყოფება პრაღაში, სადაც მომდინარეობს პოლიეფფექტური კინოგადაღებება სახელწოდებით „პრინცი და ძმ“. საინტერესოა, რომ 37 წლის ინგლისელი განსახიერებს საკუთარ თავს და სცენარის მიხედვით პრინცის მეგობარია. ორივე მოქმედი პირი რნოლში ეჯიბრება ერთმანეთს.

„ეს სამუშაო ძალიან ჰგავს „ფორმულა 1“-ზი მუშაობას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ უფრო მეტი თავისუფალი დრო მაქვს. მართალია, კინოფილმში გადადგება ჩემი ბაჟშვობის ოცნება არ ყოფილა, მაგრამ ახალი პროფესია მაინც მიმწონს“, — განაცხადა ირვინმა ეურნალისტებთან საუბარში.

ზემოაღნიშნული კინოგადაღების გარდა, ედი ირვინი პარალელურად მუშაობს დოკუმენტურ ფილმზე, რომელიც საკუთარ სპორტულ კარიერას შეეხება.

ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ



5 აგვისტო, სამშაბათი

საქართველოს ტელევიზია. მე-2 არხი. ასპარეზი (21.30), ***თეორია.*** ბურთი და მოედანი (10.35), ეკონომია. „სპორტის სამყარო“ (21.30), ***HTB plus ფუთბალი.*** უკრაინის ჩემპიონატი. „ყარპატი“ — „შახტარი“ (13.15), ბრაზილიის ჩემპიონატი „პარანა“ — „კორინთიანსი“ (15.15), რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმობილვა (17.00), გერმანიის ჩემპიონატის მატჩების მიმობილვა (18.00), „გავსსწონთ განველილი სეზონი“. იტალიის ჩემპიონატი. „ლიეკი“ — „ეფუენტუსი“ (19.20), ინგლისის ჩემპიონატი. „ბაშენტატ იუნაიტედი“ — „ლიდსი“ (0.35), „ჩემპიონთა ლიგის არჭეფი“. 99/00 სეზონი. უკრანინა „ნინაშო“ — „ბავარია“ (21.05), განველილი კვირის პიტ-პარადი (22.50). ***HTB plus spoرt.*** ნოგბერთი. „მასტერ სერიეს“. მორრეალში (11.45, 22.00), ჭადრაკი. დორტმუნდის სუპერტურნირი (13.30), ველოტრეკი. მსოფლიო ჩემპიონატი. ეიკეში. ქალები (15.20), სასლაკო ფრენბერთი. მსოფლიო ტური (20.30), სპიდვეი. მსოფლიო თასი (1.15). *EUROSPORT.* რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (12.30), ფეხბურთი. ამმანგური მატჩები (14.00), სასლაკო ფრენბერთი. ქალები. ფინალი (16.00), ფეხბერთი. იტალიის სუპერთასი. ნიფიორეკი. „ეფეენტუსი“ — „მილანი“ (17.00), მძლეოსნობა. გრან-პრი. პირველპირი ტრანსლაციი (21.30), კრიკი. „TBA“. პირველპირი ტრანსლაციი (1.00, 3.15).

6 აგვისტო, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. ეროვნა. „სპორტის სამყარო“ (21.30). ***HTB plus ფუთბალი.*** „ავიისწონთ განველილი სეზონი“. „სპორტის სამყარო“ (21.30). ***HTB plus spoرt.*** „ბაშენტატ იუნაიტედი“ — „ლიდსი“ (16.45), ესპანეთის ჩემპიონატი. „ბლაგა“ — „რეალი“(19.20), ჩემპიონთა ლიგის არჭეფი. 99/00 სეზონი. მეოთხედფინალი. „რეალი“— „მანჩესტერ იუნაიტედი“ (21.15). ჩემპიონთა ლიგა. მეორე შესარჩევი რაუნდი. სასპასუხო მატჩი. პირველპირი ტრანსლაციაა (22.55, 0.50). ***HTB plus spoرt.*** ნოგბერთი. „მასტერს სერიეს“ (11.45, 22.00 — პირველპირი ტრანსლაციაა). სპიდვეი. მსოფლიო თასი (15.00). ჭადრაკი. დორტმუნდის სუპერტურნირი (23.30), სპრინტი სამნო. რუსეთის თასი (0.00). სპორტული ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი (1.15). *EUROSPORT.* მძლეოსნობა. გრან-პრი. სტოკჰოლმი (12.30, 19.00), სასლაკო ფრენბერთი. ფინალი. ქალები (15.30), ფეხბურთი. ამმანგური მატჩი. „რეალი“ — „ტოკიო (16.30), საცხენოსნო სპორტი. სანტანდერიდან (0.00), ფეხბურთი. ამმანგური მატჩი. „სპორტინგი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ (1.15).

7 აგვისტო, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია. ეროვნა. „სპორტის სამყარო“ (19.30), ***მე-2 არხი.*** „ქართული ფეხბურთი“ (20.00), იმედი. სპორტული პროგრამა „ესტაფეტა“ (2.30). ***HTB plus ფუთბალი.*** ბრაზილიის ჩემპიონატი. „კრუზეირო“ — „სან-პაულუ“. პირველპირი ტრანსლაციაა — (5.35, 13.15, 21.50), ჩემპიონთა ლიგა. მეორე შესარჩევი რაუნდი. სასპასუხო მატჩი (15.30, 17.30), „ვალისწონთ განველილი სეზონი“. სფორანგეთის ჩემპიონატი. „ლიმპიკი“ — „ბორ (19.35), „ფუტბოლ მენსიალი“ (21.20, 1.20), „ჩემპიონთა ლიგის არჭეფი“. 99/00 სეზონი. მეოთხედფინალი. „ალეხანა“ — „ლეიონ“ (23.35), ***HTB plus spoرt.*** ნოგბერთი. „მასტერს სერიეს“ (11.45, 22.00), ჭადრაკი. სუპერტურნირი დორტმუნდში (13.30, 0.15), სპრინტი სამნო. რუსეთის თასი (14.40), ტრიალონი. მსოფლიო თასი (15.40), მძლეოსნობა. რუსეთის თასი. პირველპირი ტრანსლაციაა (17.40), სპიდვეი. მსოფლიო თასი (1.30). *EUROSPORT.* საცხენოსნო სპორტი. ეროვნებათა თასი (12.30), ფეხბურთი: ამბანგური მატჩი „სპორტინგი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ (14.00), ამბანგური მატჩები (17.00, 21.30), კრიკი. მძიმეწონიანები. ა. ლუგინი — ფ. ფელინი (23.30), კიკბოქსინგი. ბელფასტიდან (2.15).



ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲠᲘᲚᲘ № 59

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲜ: 1. საკადრაკო ტერმინი, 6. ტურსტთა თავშესაფარი ვეღაც, 7. იღეთი ქართველ ჭიდაობაში, 10. ჭიდაობა, ორთაბრძოლის სახეობა, 12. სავრთო საგრგლობის ჰიგიენური დაწესებულება, 14. ცნობილი ფრანგი ფეხბურთიელი, 15. გერის ერთ-ერთი სახელოვანი მძღოლისაგან XX საუკუნის 60-იან წლებში, 17. „ფრაიბურგის“ გერმანელი მცველი, 19. „შაღაეს“ დანიელი თავდასხმელი, 20. ფოთის „კოლხეთის“ ფეხბურთიელი, 24. „ბოხუმის“ გერმანელი ნახევარმცველი, 25. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 26. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 27. ყოფილი ქართველი ფეხბურთელი, მწერალი.

ᲕᲢᲝᲠᲣᲚᲘ: 1. საბჭოთა ტანმოვაჯეშნის, ოლიმპიური ჩემპიონის (1952) ბასაკოვის სახელი, 2. მოუჭიდავეს კრამნერის სახელი, 3. „ᲗᲔᲢᲔᲒᲠᲐᲤᲘ“ გერმანელი მცველი, 4. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 5. შუშაკის სახელი, 7. ლეგენდარიელი ინგლისელი ჩოგბერთელი ქალი, 8. კარატეს პროგრამა, 9. ტეტნიკური ჯარიმა კალათბურთში... 11. აშშ-ის მოკურაკვე, ოლიმპიური ჩემპიონი (1964), 13. წარსულში ცნობილი ქართველი ფალავანი, 16. სპორტსმენის ერთ-ერთი მაღალი ჯილდო, 18. წარსულში ცნობილი მოჭადრაკე, ჰაეულ... 21. სპორტული სარბიელი, ანუ... 22. ფეხბურთიელ ძოფის სახელი, 23. ... „ინტერსახეს“ ალბანელი მცველი.

შეადგინა ნოდარ ჯაბუაძემ

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ № 58-ᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲜ: 1. არშავინი, 4. „ნანტი“, 7. ზიდანი, 10. გარინჩა, 11. პირეში, 12. კოლაე, 14. სტიფენი, 15. ისა, 17. ბოუ, 19. ვასინი, 20. იზეტი, 21. ურო, 23. ბიენეი, 24. შამონი.

ᲕᲢᲝᲠᲣᲚᲐᲜ: 2. რეეგ, 3. ნოზაძე, 4. ნბა, 5. იროლია, 6. მინდაო, 8. „დეპორტივო“, 9. ნორილიუსი, 10. გასკოინი, 13. ბრენდენი, 16. ანელკა, 17. ბრიჯი, 18. უშუ, 22. რაი.

ᲡᲐᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ. ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

5-10 აგვისტო. ჩოგბერთი. „ATP“. მასტერსის სერიის ტურნირი. ანაფა
5-10 აგვისტო. ჩოგბერთი. „WTA“. ლოს ანჯელესი (აშშ), ბელსიკი (ფინეთი).
5 აგვისტო. მძლეოსნობა. გრან-პრი. სტოკჰოლმი (შვედეთი).
7 აგვისტო. ავტოსპორტი. ფინეთის რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. IX ეტაპი.
8 აგვისტო. მძლეოსნობა. გრან პრი. ლონდონი (ინგლისი).
10 აგვისტო. მძლეოსნობა. ოსტოს ლიგა. IV ეტაპი. ბერლინი (გერმანია)
11-15 აგვისტო. ველოსპორტი. ბურგოსის ტური.
11-17 აგვისტო. ჩოგბერთი. „ATP“. მასტერსის სერიის ტურნირი. ცინცინატი (აშშ).
11-17 აგვისტო. ჩოგბერთი. „WTA“. ტორონტო (კანადა).
13-30 აგვისტო. ფეხბურთი. 17 წლამდე ფეხბურთიელთა მსოფლიო ჩემპიონატი. ფინეთი.
16-24 აგვისტო. სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. ანაჰაიმი (აშშ).
17 აგვისტო. ავტოსპორტი. ფორ. 1. მსოფლ. ჩემპ-ის XIII ეტაპი. უნგრეთის გრან პრი. ბუდაპეშტი.
17 აგვისტო. ავტოსპორტ. „სარტ“-ის ჩემპიონატის XIII ეტაპი. მიდლანი.
17 აგვისტო. მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატის X ეტაპი. ჩეხეთის გრან პრი. ბრნო.
18-24 აგვისტო. ჩოგბერთი. „ATP“. ლონგ აილენდი (აშშ)
18-24 აგვისტო. ჩოგბერთი. „WTA“. ნიუ ჰეივენ (აშშ).
21-31 აგვისტო. უნიფორსიადა. სამხრეთ კორეა.
23-31 აგვისტო. მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. პარიზი (საფრანგეთი).
24-31 აგვისტო. ნინჰბინსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. მილანი (იტალია).
25 აგვისტო. 7 სეკუტმერი. ჩოგბერთი. აშშ-ის ღია პირველობა.
31 აგვისტო. ავტოსპორტ. „სარტ“-ის ჩემპიონატის XIV ეტაპი. დერეი.



მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com